# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ფულიერებით და ქირებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


პარასკევი-კვირა, 19-21 ნოემბერი. 2021 წ. №203 (9322) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი


# „მშიერი რევოლუცია“!

SOS!

## პატიმარს საკუთარი ჩვენება შეაჭამეს, შემდეგ კი პატიმრის გაუპატიურების ინსცენირებას აყურებინეს!... ⑤




## უვადოდ მოშიმშილე მესამე პრეზიდენტი და უვახშმოდ დარჩენილი მეხუთე პრეზიდენტი ③

## ირაკლი კობახიძე: სააკაშვილს რომ კაცობა და ღირსება ჰქონდეს, ⑤ შიმშილობას შეწყვეტდა!

## ერთმანეთის მტრობა ② სახელმწიფოს მტრობაა!

## ისტორიულად გათახსირებულმა ნაციონალებმა ისევ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს ქართულ სახელმწიფოს და მოიგონეს ამ ბრძოლის ახალი ხერხი – „მშიერი რევოლუცია“... ქართველი ხალხის მტრები არაფერს ერიდებიან თავიანთი შავბნელი მიზნების მისაღწევად!

SOS!

## ბრალი ედება დასავლეთს!

**მთავარმოწამე ბიძინა ჩოლოყაშვილის ხსენების დღეს, 1 ოქტომბერს 2021 წლისა, ქვეყანამ შეიტყო ინტერპოლის მიერ ძებნილი მ. სააკაშვილის დაკავების შესახებ, რომელმაც საქართველოს საზღვარი უკანონოდ, საბარგო პარომით „ვილნიუსი“, რძის პროდუქტებში ჩამალულმა გადმოკვეთა. პრეზიდენტობისას მუდამ მყეფარი და ზარის დამცემი „დემოკრატიის შუქურა“ უცებ ხელბორკილდადებული და უაზროდ მომღიმარი ვიხილეთ.**

ცხოვრებას თავისი კანონზომიერება აქვს და გასაკვირი არ არის, რომ ვარდების რევოლუციის ბელადს 18 წლის წინანდელი, მისთვის არგანკუთვნილი **ფინჯანი ჩაი ცეცხლად გადაექცა.** მეც მჯეროდა ამ დღის დადგომისა, რაზეც მაშინაც ვწერდი: „ცოდვას ბუმერანგის თვისება აქვს და თავის დროზე ყველას სასჯელად დაუბრუნდება“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 19-25 დეკემბერი, 2003 წ.). სამწუხაროდ, სააკაშვილის ახლანდელმა მხარდამჭერებმა არ იციან წესი აღნიშნული მიზეზშედეგობრიობისა, თორემ არც თავიანთ სულებს დაისახიჩრებდნენ და არც თავიანთ აუგ საქმეებს გადასცემდნენ შთამომავლობას.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნაცების, ანუ მიშისტების ამჟამინდელ აბობოქრებას საზოგადოებამ შეუწყო ხელი. ამორალიზმისადმი შემგუებლობამ და ბოროტებასთან უბრძოლველად თანაცხოვრებამ შექმნა **ილუზია** იმისა, რომ **ყველაფერი ნებადართულია**. მართალია, სხვებთან შედარებით ღირსება ჩვენ მეტად დავიცავით (ბოლოს და ბოლოს, პრაიდი აღვკვეთეთ), მაგრამ მართლმადიდებელ ერს ბევრად მეტი სამართლიანობის დაცვა მოეთხოვება. როცა ცნობილი ნაცები მიტინგებიდან და ტელეარხებიდან მთელ საზოგადოებას დედას აგინებენ, ვდუმვართ და ისე ვიქცევით, თითქოს ეს ჩვენ არ გვეხება.

საკვირველია, როგორ არ იწვის ქართული მიწა პეტრე ცაავას ფეხქვეშ და რამდენად მძიმეა პოლიტიკური ვითარება, რომ ამდენი ხნის განმავლობაში მას შესაფერისი სასჯელი ვერ დაადო ვერც წმ. სინოდმა და ვერც ხელისუფლებამ, რათა ყველასთვის ცნობილი გამხდარიყო, რომ საქართველოში მამულიშვილთა და საქვეყნოდ აღიარებულ მოღვაწეთა შეურაცხმყოფელნი ვერ იბოგინებენ! – თუ ახლანდელი კანონმდებლობით ცილისწამებისა და გმობისაგან თავს ვერ ვიცავთ, მაშინ საზოგადოებამ ვიღვაწოთ იმისთვის, რომ ზნეობრივი კანონები კანონობდეს, თორემ მარტო ფორმალური დემოკრატიით ფონს ვერ გავალთ.


იხ. 3 გვ.


## პაატა ქურდაძის პოლიტიკური ავანტიურა... ⑥

№203. პარასკევი-კვირა, 19-21 ნოემბერი, 2021 წელი.



## სალომე ზურაბიშვილი:

# ქვეყნის სიმშვიდისთვის მაქსიმალურად უნდა იყოს გააზრებული ნებისმიერი სიტყვა თუ ქმედება

## ყველა სახელმწიფოსთვის ყოფილი პრეზიდენტის დაპატიმრება დიდი გამოწვევაა!

**ახლახანს დავასრულე სამუშაო ვიზიტი საფრანგეთში, სადაც საშუალება მომეცა მესაუბრა ჩვენი ქვეყნის გამოწვევებზე, ახალ ინიციატივებსა და სამომავლო გეგმებზე. შევხვდი აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ კამალა ჰარისს, ევროპული საბჭოს პრეზიდენტს, შარლ მიშელს, საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს, ჟოზეფ ბორელს, საფრანგეთის პრეზიდენტს ემანუელ მაკრონს, ესტონეთის პრეზიდენტს ალარ კარისს და ისლანდიის პრეზიდენტს, გუდნი იოჰანესონს. იუნესკოში, სადაც ასევე გამოვედი სიტყვით, კიდევ ერთხელ გავუსვი ხაზი, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართული და აფხაზური ენის გადარჩენის უმწვავეს საკითხს. გუშინ კი ორბელიანების სასახლეში შეხვედრა გავმართე MEDEF-ის დელეგაციასთან, რომლებიც საქართველოში მოვიწვიე თავის დროზე და სამწუხაროდ პანდემიის გამო გადაიდო ერთი წლით, რათა ადგილზე ენახათ ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალი.**

**ეს ყველაფერი ჩემი, როგორც ამ ქვეყნის პრეზიდენტის მოვალეობაა, ქვეყნის სახის, ღირსების და იმიჯის დაცვა და წარმოჩენა. სწორედ ამას ემსახურება ჩემი თითოეული ნაბიჯი ქვეყნის გარეთ თუ შიგნით...**

* * *

გარეთ თუ შიგნით ყველა ნაბიჯი, რომელიც გადადგმულია სახელმწიფოს მხრიდან უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფო ინტერესს, მის სტაბილურობას, ერთიანობასა და წინსვლას. სახელმწიფო ინტერესიდან გამომდინარე, დღესაც ჩემს მოვალეობად მივიჩნევ ჩემი პოზიცია გამოვხატო ყოფილი პრეზიდენტის პატიმრობის საკითხზე.

ნებისმიერი სახელმწიფოსთვის ყოფილი პრეზიდენტის დაპატიმრება ძალიან დიდი გამოწვევაა. დიდი გამოწვევაა სასამართლო სისტემისთვის, პენიტენციური სამსახურისთვის, ხელისუფლებისთვის და ზოგადად, საზოგადოებისთვის. ყოფილი და აწ უკვე მსჯავრდებული პრეზიდენტის დაპატიმრება კანონის წინაშე თანასწორობასა და სამართლიანობას ეფუძნება. კანონის წინაშე ყველა თანასწორია და შესაბამისად, ყოფილი პრეზიდენტის დაკავებაც კანონის უზენაესობის პრინციპებიდან გამომდინარეობს. ეს მას კარგად გააზრებულიც ჰქონდა და მიუხედავად ამისა ჩამოვიდა, თანაც უკანონოდ.

კანონის წინაშე ყველა ერთია, მაგრამ სასჯელის აღსრულების დროს და ციხეში მყოფი, ექსპრეზიდენტი არ არის და ვერ იქნება რიგითი პატიმარი. იგი განსაკუთრებული პატიმარია, რამეთუ ყველა – ჩვენი საზოგადოება, ისევე როგორც, საერთაშორისო თანამეგობრობა, აკვირდება მის მდგომარეობას და მოითხოვს უმაღლესი სტანდარტების შესრულებას. ჩვენი ქვეყნის სახე იმაში გამოიხატება, თუ როგორ მოვეპყრობით მას, და თუ როგორ იქნება დაცული მისი ღირსება, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება.

ამდენად, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, რეგულარულად ვიღებდი და ვიღებ ინფორმაციას ყოფილი პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ შესაბამისი უწყებებისგან, მაგალითად: სახალხო დამცველი, სახელმწიფო ინსპექტორი, იუსტიციის მინისტრი და ჯანდაცვის სამინისტრო. დღეს მინდა ხელისუფლებას და საზოგადოებას მივმართო და ამ სერიოზულ საკითხთან დაკავშირებით გავაცნო ჩემი შეხედულება:

**1. პირველ რიგში, დაცული უნდა იყოს ყოფილი პრეზიდენტის ღირსება, მისივე ქცევის მიუხედავად, რამეთუ ყოფილი პრეზიდენტი მაინც დაკავშირებულია სახელმწიფოსთან და ამ სტატუსს პატივი უნდა ვცეთ! ამდენად, იმ კადრების გავრცელება, რომლებიც ამ ღირსების და პატივის შემლახველია, ჩემთვის, როგორც ამ ქვეყნის პრეზიდენტისთვის, კატეგორიულად მიუღებელია. საზოგადოებას კარგად ახსოვს, თუ როგორ ექცეოდნენ პატიმრებს ყოფილი პრეზიდენტის სასამართლოსა და პენიტენციურ სისტემაში. ამიტომ, დღევანდელი ხელისუფლება არ შეიძლება რამეში დაემსგავსოს წინამორბედს. ამიტომ, გულგრილობა, დაცინვა, ქილიკი და შეურაცხყოფა მიუღებელია არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ, დარწმუნებული ვარ, მთელი საზოგადოებისთვისაც!**

**2. ასევე, ყოფილი პრეზიდენტის ჯანმრთელობა უნდა იყოს განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ. ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ინფორმაცია პრეზიდენტის, თუ ყოფილი პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მიეკუთვნება სხვა კატეგორიას, საჯარო და არა პირად მონაცემებს. იწვევს განსაკუთრებულ საზოგადოებრივ ინტერესს, რამეთუ ყველა კარგად ხვდება, რომ მათი (პრეზიდენტების) ჯანმრთელობა პირდაპირ თუ ირიბად სახელმწიფოს ეხება და შესაძლოა, გავლენა იქონიოს მის სტაბილურობაზე. ასევე, ყველას გვესმის, რომ ქვეყნის დესტაბილიზაციის ინსტრუმენტი შეიძლება გახდეს ექსპრეზიდენტის ჯანმრთელობა. მიუხედავად იმისა, რომ თავად მიიღო შიმშილობის გადაწყვეტილება და თავად ცდილობს მართოს ეს პროცესი, ეს არ ხსნის და არც ამცირებს ხელისუფლების პასუხისმგებლობას. ლოგიკურად ყოფილი პრეზიდენტის ჯანმრთელობის შენარჩუნებით ყველაზე დაინტერესებული ხელისუფლება უნდა იყოს და ვფიქრობ, რომ არის კიდევაც. თავის მხრივ, საზოგადოებას უფლება აქვს, ჭორების, ცრუ და ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციის და სპეკულაციის ნაცვლად, ყოველდღიურად მიიღოს სრულყოფილი, მიუკერძოებელი, სანდო და დეტალური ინფორმაცია – შიმშილობის, კვების, ანალიზების შესახებ. ეს არის ხელისუფლების ვალდებულება და მივმართავ მას, რომ დაუყოვნებლივ შეუდგეს ამ ვალდებულების სრულად და არა ნაწილობრივად შესრულებას.**

**3. ისმის მოთხოვნა, რომ ექსპრეზიდენტი, როგორც სხვა რიგითი პატიმრები, გადაყვანილი იყოს, სამოქალაქო მულტიფუნქციურ კლინიკაში. ამ სიტყვებს იმეორებს ერი და ბერი ისე, რომ არ გააჩნიათ რეალური წარმოდგენა თუ რას ნიშნავს ეს, ან რა საფრთხეებთანაა დაკავშირებული. თუ ვთანხმდებით, რომ ექსპრეზიდენტი რიგითი პატიმარი არაა და ვერ იქნება, მაშინ ასევე უნდა შევთანხმდეთ, რომ ის შესაძლებლობა, რაც ეძლევა რიგით პატიმრებს, რომ გადაყვანილი იყვნენ სამოქალაქო სივრცეში, სწორედ ამ განსაკუთრებულობიდან გამომდინარე, უფრო რთულად განსახორციელებელია, მრავალი შესაძლო საფრთხეებიდან გამომდინარე რისი დაზღვევაც ურთულესია. ამავე დროს, ექსპრეზიდენტი უნდა სარგებლობდეს უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტებით, რათა არ გაჩნდეს არანაირი კითხვა თუ ეჭვი, რომ რამე დააკლეს მის მკურნალობას - შიმშილობისას, თუ არანაკლებ საშიშ ეტაპზე, ანუ შიმშილობის შეწყვეტის შემდეგ.**

**ამიტომ, ამ მიმართულებითაც ნათელი უნდა მოეფინოს ობიექტურ საჭიროებებს და პრეტენზიებს: რა სტანდარტების დაცვა მოეთხოვება უცხოეთში პენიტენციური სისტემის კლინიკებს, სადაც მკურნალობენ მოშიმშილე პატიმრებს. ანუ, სამედიცინო დანადგარების ნუსხა, რითიც უნდა იყოს აღჭურვილი დაწესებულება, სადაც პატიმარი გააგრძელებს მკურნალობას.**

ხელისუფლებას ევალება, რომ საზოგადოებას აცნობოს, კონკრეტულად არსებული დაწესებულება აკმაყოფილებს თუ არა ამ სტანდარტებს, კიდევ ერთხელ ნუსხა არის საჭირო, და თუ არა, მოინახოს ალტერნატიული და უსაფრთხო გამოსავალი, ვინაიდან საზოგადოებაში ეს საკითხი იწვევს დიდ მღელვარებას.

ხელისუფლებას ევალება ყველა იმ ზომის მიღება, ყველა იმ ინფორმაციის გაცემა, ყველა იმ საფრთხის გათვალისწინება, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს საზოგადოების თუ ქვეყნის სტაბილურობაზე. ასეთ დროს სამწუხაროა, რომ არსებულ კონსილიუმს არ მიეცა შესაძლებლობა თავისი საქმიანობის გაგრძელების, თუმცა, აღსანიშნავია, სახალხო დამცველის ინიციატივა, რომ ექიმების ჯგუფის მიერ შეფასდეს არსებული მდგომარეობა და საზოგადოებას მიეწოდოს დამატებითი ინფორმაცია, რამეთუ ინფორმაციის ნაკლებობა თავისთავად კვებავს მღელვარებას.

**არ შეიძლება ამ ვითარებაში არ გამოვთქვა წუხილი, რომ ინფორმაციის და მოზომილი კომენტარების მაგივრად ზოგი ოფიციალური პირის მიერ გაკეთებული გამომწვევი განცხადებები საზოგადოებაში იწვევს მეტ გაუგებრობას, დაძაბულობას თუ გაღიზიანებას. ქვეყნის სიმშვიდისა და დეპოლარიზაციისთვის მნიშვნელოვანია მაქსიმალურად იქნეს გააზრებული ნებისმიერი სიტყვა თუ ქმედება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ყველა შესაძლო პროვოკაცია და დაპირისპირების მცდელობა!**

**ქვეყანა, რომლის ტერიტორიის ნაწილი ოკუპირებულია და რომლის მიზანიც ევროინტეგრაციაა, განსაკუთრებული დაკვირვებისა და საფრთხის ქვეშაა. ამიტომ, ნებისმიერი პროვოკაცია, სპეკულაცია და დესტაბილიზაცია, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს, ითხოვს მყისიერ, დაფიქრებულ და გონივრულ რეაგირებას!**

## თეა წულუკიანი:

# შემიძლია ვარაუდი, რომ...



**არ ვიცი, რას გულისხმობს საქართველოს პრეზიდენტი, შემიძლია, მხოლოდ ვივარაუდო, რომ ის გულისხმობს მიხეილ სააკაშვილის ექსპრეზიდენტის სტატუსს. სხვა მხრივ, ეს პატიმარი, რა თქმა უნდა, ზუსტად ისეთივე პატიმარია, როგორიც ნებისმიერი სხვა,** – ამის შესახებ საქართველოს კულტურის მინისტრმა თეა წულუკიანმა სალომე ზურაბიშვილის გუშინდელ განცხადებაზე კითხვის საპასუხოდ აღნიშნა. თეა წულუკიანმა ყველა პატიმარს, რომელიც დღეს ციხეში შიმშილობს, შიმშილობის შეწყვეტისკენ მოუწოდა.

**„მინდა, კიდევ ერთხელ ყველა იმ პატიმარს, რომელიც დღეს საპატიმროში შიმშილობს, მოვუწოდო შიმშილობის შეწყვეტისაკენ, რადგან ეს არის პროტესტის ფორმა, რომელიც სერიოზულად აზიანებს ჯანმრთელობას. არ ვიცი, რამდენია მათი რიცხვი, ჩემი მინისტრობისას რაოდენობა მერყეობდა საშუალოდ 20-25-ის ფარგლებში. მინდა, ყველას მოვუწოდო, თუკი პროტესტის გრძნობა გვაქვს, ეს პროტესტი გამოვხატოთ სხვა ფორმით და არა ჩვენი შვილების, ოჯახის წევრების ნერვიულობის ფასად და საკუთარი ჯანმრთელობის ხარჯზე“.**

### ◉ ჩემპიონის შეგონება

# ერთმანეთის მტრობა სახელმწიფოს მტრობაა!

ადამიანთა საზოგადოება, რომელსაც ღვთისა და უკვდავების რწმენა არ აქვს, ველური მხეცების ხროვას ემსგავსება, რომლებიც ყოველთვის მზად არიან ერთმანეთის საჯიჯგნად და გასანადგურებლად.

ჩვენივე ნებით, ურთიერთგაუტანლობით და მტრობით, მძიმე დრო დაგვიდგა. არ ვაცნობიერებთ, რომ ყურადღების სხვა თემებზე გადატანით, სამშობლოს ინტერესების ჩანაცვლება პიროვნული, პარტიული თუ კლანური ქვენაგრძნობებით, გვიუფასურებს ეროვნულ საწუხარს, ჩრდილში ექცევა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, დემოგრაფიული, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები.

ყოველი განსაცდელი გამოცდაა, რაც დღეს საერთო ხვედრია ცოდვილი კაცობრიობისა. უძველეს ერებს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამ განსაცდელ-გამოცდაში, რომლებმაც საკუთარი გონიერება-გამოცდილებით და მაგალითით უნდა უჩვენონ ხსნის გზა. მამაზეციერისგან ამ მადლის თანაზიარ ჩვენს ერს, უპირველესად გვმართებს ერთიანობა, განწმენდის გზა კი გადის ქრისტესმიერ ურთიერთსიყვარულზე. ჩვენივე გენის სიბრძნე გვმოძღვრავს: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“.

დღევანდელ საშუალო და უფროსი ასაკის თაობებს ახალგაზრდობასთან, ქვეყნის ხვალინდელი დღის იმედთან ერთად, გვმართებს გაერთიანებული ძალისხმევით ვძლიოთ საყოველთაო ცდუნებად თავსმოხვეული ბოროტება და ღვთის გზით გავიდეთ სამშვიდობოს.

ეროვნული გამოფხიზლების აუცილებლობას გვავალდებულებს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორია და ვალი წინაპართა ღვაწლის, უფლის და ღვთისმშობლის მადლის წინაშე.

დაგვიფაროს და გაგვაძლიეროს უფალმა რწმენასა და ურთიერთსიყვარულში!



**გურამ სალარაძე,**

**მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ჭიდაობაში, აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანს „არიერგარდის“ თავმჯდომარე, თბილისის საპატიო მოქალაქე.**

# ბრალი ედება დასავლეთს!

(პირველი გვერდიდან)

**იქნებ ვაჭარბებ და ბევრს ვითხოვ პატარა საქართველოსგან, რომელსაც სრული დამოუკიდებლობისთვის არც მძლავრი ეკონომიკა და არც სამხედრო ძალმოსილება აქვს? მაგრამ ჩვენ ხომ გვყავს დიდი დასავლელი მეგობრები, რომელთა ოფიციალური წარმომადგენლები და ელჩები ჩვენი ქვეყნის დიპლომატიურ ასპარეზზე წარმოქმნილ საკითხებს ჩვენს ხელისუფალთა პოზიციის გამოხატვამდე პასუხობენ? — მათი საჯარო განცხადებებიდან ჩანს, რომ თავიანთ უალტერნატივო დირექტივებს მთელ საზოგადოებას თავს ისე ახვევენ, რომ მთავრობასთან ცალკე მოლაპარაკებისა და პრობლემის უხმაუროდ გადაწყვეტისთვის დროსაც არ ხარჯავენ.**

სანამ დასავლეთმა ქვეყნის განვითარების შემაფერხებელი კოჰაბიტაცია მეორედ დაგვიკანონა, მანამდე იქნებ ჩვენმა მთავრობამ აღიაროს აუცილებლობა პოლიტიკური ბალანსირებისა, რომელიც მაინცდამაინც დასავლურ პლატფორმაზე არ იქნება მიბმული. აშკარად ვხედავთ, რომ აშშ-ისა და ევროკავშირის სტრატეგია ისევ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი ქართველთმოძულე თავკაცის დაცვისკენაა მიმართული. აშშ-ის ყოფილმა ელჩმა **უილიამ კორტნიმ** ჩვენი მოქალაქეების უმრავლესთა აზრის იგნორირებით ხომ გვაცნობა, რომ შტატები სააკაშვილის ციხიდან განთავისუფლების მომხრეა. ბუნებრივია, მათი განწყობა განპირობებულია არა მარტო ფრიად საჭირო და შეუდარებელი შემსრულებლის გამოხსნით, არამედ ლიბერალური ღირებულებების, პირველ რიგში ლგბტ-ების ინტერესთა დაცვით, რასაც ჩვენი ერი და ამჟამინდელი ეროვნული მთავრობა არ იზიარებს.

ყველას მოეხსენება, რომ ნაცების რევოლუციური სცენარის განხორციელების შემთხვევაში, გარდა სადამსჯელო აპარატის ამუშავებისა, გეი-პრაიდები მთელ საქართველოს მოიცავს, ქართული ტრადიციებისა და მამულიშვილობის მოსპობის მოსურნენი თავიანთი დროშებით ქვეყანას ააჭრელებენ; მართლმადიდებელი ეკლესია მინიმუმ ორ განშტოებად გაიყოფა, რომელიც საზოგადოებრივ დაპირისპირებას ჩიხში შეიყვანს და იმდენად გაუთვალისწინებელ შედეგს გამოიღებს, რომ ქვეყანა შესაძლოა კატასტროფამდე ძალიან სწრაფად მიიყვანოს.





**ვინ ისარგებლებს ჩვენი უბედურებით? — რა თქმა უნდა, ჩვენი მეზობელი სახელმწიფოები და მათი ძველი სატელიტები — სააკაშვილი მიხეილი და მისი მორჩილი ნაც-ელიტა. ისინი გააგრძელებენ თავიანთ საქმეს და აჭარასა და სამცხე-ჯავახეთსაც ისე გაასხვისებენ, როგორც დავით-გარეჯს, და თავიანთი სისასტიკის მთესველი ტელეარხებით ყველა პატრიოტის ხმას, ვინც კი სიმართლის თქმას არ შეუშინდება, ჩააxშობენ.**

**„რეაქციის“ ერთ-ერთ გადაცემაში ნაცებმა უკვე გვირჩვენეს, საჭიროების შემთხვევაში როგორი მიზანსწრაფვით შეუძლიათ სიცრუის ირგვლივ გაერთიანება და საქართველოს წმიდა მიწის დათმობა წარმოუდგენელი ანგარების ხარჯზე.**

ჩვენი ძირძველი მხარეები განსაცდელის წინაშე დგანან. სწორედ სააკაშვილის მიერ, პრეზიდენტობის მიწურულს, 2013 წლის სექტემბერ-ოქტომბერ-ნოემბერში, ათასობით თურქისთვის მინიჭებული მოქალაქეობის შედეგად აჭარაში დემოგრაფიული მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა (ჯერჯერობით ეს პოლიტიკური ავანტიურა გამოუძიებელია). მ. სააკაშვილმა და ენმ-ამ ხელისუფლებაში ყოფნის დროს იმდენი შეძლეს, რომ ქვეყანას, რომელსაც საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის ერთი/მესამედი მისაკუთრებული აქვს, ხოლო იქ მცხოვრებ მილიონობით გურჯსა და ლაზს ცნობიერებაცა და სარწმუნოებაც რადიკალურად აქვს შეცვლილი, ჩვენს ეკონომიკაზე დომინირებული გავლენა მოაპოვებინეს. მაშინ, როცა მეორე მეზობელი სახელმწიფო, სადაც ჩვენი ახლანდელი მოსახლეობის ერთი/მესამედი ერთმორწმუნე ქართველი ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ცხოვრობს და სამშობლოში ოჯახის წევრებს დახმარებას უგზავნის, მტრად და ოკუპანტად აქციეს და რუსოფობიის სარეველას ახლაც წარმატებით უვლიან.

## ცირკის არენაა მთელი საქართველო, სადაც გაწვრთნილი მელიების ხტუნვით ერთობიან?

არაერთხელ თქმულა, რომ თურქულ სასკოლო სახელმძღვანელოებში დაბეჭდილ რუკებზე საქართველო თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. ამ იდეოლოგიით უკვე თაობები აღიზარდნენ. აზერბაიჯანის პრეზიდენტი **ილჰამ ალიევიც** არ ერიდება განცხადებებს, რომ საქართველო და სომხეთი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობენ. თურქულ-აზერბაიჯანული ჰარმონია ჩვეულებრივი მოვლენაა, ისინი აღჭურვილნი არიან იდეით: „ერთი ხალხი — ორი სახელმწიფო“. ცალკე თემაა, საქართველოში მეჩეთების მშენებლობანი, თურქულ-აზერბაიჯანული სკოლებისა და უნივერსიტეტების, არასამთავრობო ორგანიზაციების, აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანიის („სოკარი“) შეუფერხებელი საქმიანობანი და კაპიტალდაბანდებანი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ სანაცვლოდ ვერაფერს ვაღწევთ: ვერც ინგილოების მდგომარეობის გამოსწორებას, ვერც ტაო-კლარჯეთის ტაძრებში, თუნდაც ერთჯერადად(!), ღმრთისმსახურებაზე უფლების მოპოვებას, ვერც ისტორიული სამონასტრო კომპლექსის მოღალატეთა მიერ გაყიდული ერთი ნაწილის დაბრუნებას...

ქვეყანაში ნაცების წიოკობის ჟამს, მით უმეტეს, არავითარი სურვილი არ მაქვს ხელისუფლებას არსებული პრობლემები შევახსენო, მაგრამ უცხოელთა მხარდაჭერის იმედით ნაცური ქმედებანი გონივრულ განსჯას საერთოდ აღარ ექვემდებარება. არავინ იცის, რა პროვოკაციები აქვთ გათვლილი მსუყედ დაფინანსებულ ზომბებს, რომელთაც, მიუხედავად მრავალი აქციისა (ხარჯის განსაზღვრა თქვენთვის მომინდია), ვერც „ორი გვამის“ ჯიხურზე შემოდება და ვერც მასის აღზორგება შეძლეს. მთავრობას აბსურდულ ულტიმატუმებს უყენებენ და ამავდროულად მის წევრებს მკვლელებსა და მწამებლებს უწოდებენ. ჩვენს მთავრობას პრობლემათა ჩახშობის უკანონო გზა რომ აერჩია, უკანონოდ შემოპარული მსჯავრდებულის ლიკვიდაცია, დაკავების მომენტში გაწეული წინააღმდეგობის მოტივით, უპრობლემოდ შეძლებდა, მაგრამ მის ჰუმანურობას ახლა უპასუხისმგებლო ადვოკატების, ექიმების, პარლამენტარების, მღვდელმსახურებისა და პათოლოგების დახმარებით პასუხობენ.

**ჩვენს მთავრობას პრობლემათა ჩახშობის უკანონო გზა რომ აერჩია, უკანონოდ შემოპარული მსჯავრდებულის ლიკვიდაციას, დაკავების მომენტში გაწეული წინააღმდეგობის მოტივით, უპრობლემოდ შეძლებდა, მაგრამ მის ჰუმანურობას ახლა უპასუხისმგებლო ადვოკატების, ექიმების, პარლამენტარების, მღვდელმსახურებისა და პათოლოგების დახმარებით პასუხობენ.**

პროცესის ორგანიზებულობაზე ცხადად მეტყველებს ერთსა და იმავე დღეს, 9 ნოემბერს, საქართველოში აშშ-ის ელჩის **კელი დეგნანის**, ევროკავშირის ელჩის **კარლ ჰარცელისა** და ევროპარლამენტარ **ფონ კრამონის** ხელისუფლებისადმი მიცემული „ძლიერი რეკომენდაციები“ (სტილი დაცულია). როგორც ჩანს, ამ დღეს გამოიკვეთა ოპოზიციონერთათვის ქვეყნის ასარევად მიცემული ინსტრუქციის კრახი და აქამდე შორიდან მოთვალთვალე დიპკორპუსმა, სააკაშვილის დაკავებიდან მეორმოცე დღეს, სიჩუმე დაარღვია და პატიმრისადმი თანაგრძნობით აღძრულმა ხელისუფლების დატუქსვა განიზრახა.

გარდა იმისა, რომ „მას უნდა მოეპყრან თანასწორად და ღირსების დაცვით“ (დეგნანი) და მმართველ პარტიას უნდა მიეცეს „ფინანსური პასუხი“ (კრამონი), ხელისუფლებას გარკვევით აუხსნეს, თუ ვისი თვალით უცქერს ევროკავშირი საქართველოს: „ჩვენ ყურადღებით ვაკვირდებით საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ირგვლივ განვითარებულ პროცესებს სანდო ადგილობრივ პარტნიორებთან ერთად, როგორიც არის სახალხო დამცველი“ (ჰარცელი). — ე. ი. შექმნილი ვითარების ძირითადი მიზეზები დასავლეთს არ აინტერესებს, რადგან იგი სანდო პარტნიორად არა ქართველ ხალხს, არამედ „სახალხო დამცველს“ მიიჩნევს და ამიტომ მას არ უჩნდება ბუნებრივი კითხვები: რატომ შემოიპარა ძებნილი დამნაშავე იმ ქვეყანაში, სადაც სასჯელი უკვე გამოტანილი ჰქონდა? რა ხელსაყრელი პირობები შექმნა მას ქვეყნიდან გაქცევის რვა წლის თავზე უკან დასაბრუნებლად, რომ დაკავების შემთხვევაშიც ციხიდან თავის დაღწევას იმედოვნებდა? რატომ არ ამხელენ დაუსრულებელ შიმშილის კლოუნადას ნაც-მედია და შეშფოთებული დიპლომატები? ან იქნებ ცირკის არენაა მთელი საქართველო, სადაც გაწვრთნილი მელიების ხტუნვით ერთობიან?

**ყველამ კარგად იცის, თუ ქვეყანა დაწყნარდა და ხელისუფლებას დრო მიეცა ნაცების დანაშაულობათა გამოსაძიებლად, ბევრი მათგანი მძიმე ბრალდებათა გამო პასუხისმგებლობისთვის სასამართლოს წინაშე წარდგება. ამიტომ ხავიან ხმის ჩახლეჩვამდე, ამიტომ გახსნეს ყულაბები ძლივს შეკოწიწებულ მომიტინგეთა შესანარჩუნებლად, ამიტომ არ ერიდებიან მუქარას რევოლუციური ლოზუნგებით, რომ იქნებ ვინმე პროვოკაციაზე წამოაგონ, მდგომარეობიდან გამოიყვანონ და სისხლი დააღვრევინონ თავიანთი გამშრალი ხახების დასაამებლად!**

**ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვთხოვთ, ჩვენს ღირსეულ მთავრობას, რომ იქნებ დაფიქრდნენ კრიზისიდან გამოყვანის ამ საშუალებაზე და პირველ ეტაპზე რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა ოფიციალურად აღადგინონ. მრავალი ისტორიული მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის დასასაბუთებლად, რომ დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთთან სასაუბროდ ყოველგვარი წინაპირობების გარეშე სხდებიან; მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამის შეხსენება ჩვენს პოლიტიკოსებს არ სჭირდებათ. ფაქტია, საქართველოს საგარეო ურთიერთობის დამოუკიდებლად წარმოების უფლებას არ აძლევს ის ძალა, რომელიც ჩვენს შინაურ საქმეებში უხეშად ერევა.**



ბერდიაკონი
**გიორგი (რუხაძე),**
ფილოსოფიის დოქტორი.
(ტელ: 599196823)



ასე „შიმშილობს“ საქართველოს მესამე პრეზიდენტი



# უვადოდ მოშიმშილე მესამე პრეზიდენტი და უვახშმოდ დარჩენილი მეხუთე პრეზიდენტი

**SIC! ოპოზიციამ (წაიკითხე: ნაცმოძრაობამ) ბოლოს მაინც მიაგნო ოქროს ძარღვს!**

**მიაგნო იმ საოცნებო გადასახედს, საიდანაც თვალნათლივ მოჩანს, თუ როგორ მიაპობს რევოლუციის აფრააშვებული ხომალდი აქოჩრილ, ტყვიისფერ ტალღებს.**

**მიაგნეს იმას, რასაც რახანია ეძებდნენ და ვერ პოულობდნენ. ხან „გავრილოვის ღამეს“ ებღაუჭებოდნენ, ხან – „გაყალბებულ არჩევნებს“, ხან – სააკაშვილის ფეხის ნიკა მელიას უუპრეცედენტო დაპატიმრებას, ხან – „პოზნერთან მიხტომას“, ხანაც – ინგა გრიგოლიას დაანონსებულ 5 ივნისის მედიარევოლუციას და ა. შ.**

მაგრამ არც ერთმა ამ მცდელობამ არ ივარგა სარევოლუციოდ, ვერც ერთმა მათგანმა ვერ გამოიყვანა ხალხი ქუჩაში ნაჯახებით. არ იყო და არ არის რევოლუციური ვითარება ქვეყანაში და იმიტომ.

მაგრამ ყოველ წამოხველებაში რევოლუციის დღენიადაგ მჩხრეკელმა ნაცმოძრაობის ფხიზელმა გონმა მაინც შეამჩნია „ბეწვი სხვის თვალში“ – მესამე პრეზიდენტის შიმშილობა და მასთან დაკავშირებული „შემზარავი მოვლენები“...

მიხეილ სააკაშვილი უკვე იქცა ზებუნებრივ არსებად, ლამის ღმერთად, საქართველოს გადამრჩენად, ბაზალეთისა ტბის ძირას ოქროს აკვანში მწოლიარე ყრმად, ქვეყნის სახელმწიფოებრიობის შემოქმედ-შემქმნელ-მამამძუძედ. „თავისუფლება მიშას!“, „მიშას არ მოგაკვლევინებთ!“, „მიშა, მიშა, მიშა!“...

ოპოზიცია სიამაყით აცხადებს, რომ დღეს მსოფლიოს სხვა სალაპარაკო არაფერი აქვს თვინიერ მიშას მარტვილობისა (?). ყველა თავისი თვალთახედვით აშუქებს მოვლენებს, ამ მოვლენების ეპიცენტრში მდგომი პიროვნების პოლიტიკურ ანატომიას. ოღონდ ამ ინდივიდუალურ შეხედულებათა შეჯერება ჭეშმარიტ სურათს მაინც არ იძლევა.

მჭადიდან ნახშირის გამოსარჩევად სამაგალითოა ყოფილი პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის მოსაზრება. ბატონი გიორგი თითოეული ქართველის შეურაცხყოფად მიიჩნევს სააკაშვილის ღირსების შემლახველი (ოღონდ ისიც სათქმელია, თუ რა წვლილი მიუძღვის თავად მიშას საკუთარი ღირსების შელახვაში! ა.ა.) ვიდეოკადრების მოხვედრას ღია ეთერში, ამასთან მიიჩნევს, რომ ნაცმოძრაობისა და



ჩარლზ ჰაიდერი თეთრი სახლის წინ

პრეზიდენტ სააკაშვილის პოლიტიკური მემკვიდრეობა უმძიმესია ჩვენი ქვეყნისთვის. ყველაზე მტკივნეული მაინც ის არის, რომ ამ პოლიტიკურმა ძალამ ქვეყანას ვერ ააცილა რუსული ოკუპაცია.

**„სააკაშვილმა მისი წინამორბედისა და ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების უდიდესი ძალისხმევით გაყვანილი რუსული ჯარი დააბრუნა ჩვენს მიწაზე. საქართველოს არ დაუწყია ომი რუსეთთან. ყოველგვარი საუბარი სააკაშვილის უდანაშაულობაზე მოკლებულია რეალურ საფუძველს. უმძიმესი მემკვიდრეობა, რაც მან დატოვა, არა თუ ქვეყნის მართვის, არამედ პოლიტიკაში ყოფნის მორალურ უფლებასაც კი არ უტოვებს მას და მის მიმდევრებს. აღარაფერს ვიტყვი ქართული სახელმწიფოს დამფუძნებლობის აშკარად არაჯანსაღ ამბიციაზე“.**

უკეთესად ვერ იტყვი!

ნაცების მიზანთროპული სიძულვილი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ ყოველგვარ საზღვრებს გასცდა. „ვინც ჩვენთან არ არის, ჯოჯოხეთშიც წასულა“, სიძულვილით შეჰკივლა ჰუმანიტარმა, მხატვარმა გია ბულაძემ. ეს რომ ამ სელაპის ულვაშიან, უაღრესად მშვიდობისმოყვარე პროფესიის კაცს ამოუვიდა პირიდან, რას უნდა ველოდეთ ისეთი მძვინვარე „იაკობინელებისგან“, როგორებიც გიგი უგულავა, ლევან ხაბეიშვილი, ანა წითლიძე ან თუნდაც ნანა ბუთხუზია (ეს მისი სიტყვებია: „ხალხი ბრიყვია, ქვეყანა კი, ცუდი სიტყვა არ მინდა ვთქვა, მძღნერში ზის“).

მიშა შიმშილობს, თავგამეტებულად, სასიკვდილოდ. ეს შიმშილობა ნოყიერ საკვებს აძლევს ნაცმოძრაობას. რაც უფრო დიდხანს იშიმშილებს მიშა, მით უფრო დიდხანს იხმაურებს ოპოზიცია, კოალიციურიც და უკოალიციოც. ერთი მეორეზე ჯაჭვით არის გადაბმული, როგორც „ჩემი გული, შენი გული“, როგორც სიამის ტყუპთა სხეულები.

მაგრამ რამდენი ხანი შეიძლება „იშიმშილოს“ მიშამ? ადამიანი ხომ აქლემი არ არის, ან ანაკონდა, რომელსაც თურმე ორი წელიც კი შეუძლია უჭმელად გაძლოს, მით უფრო თუ ოპოზიციას დასჭირდა და ნიკა მელიამ უწინამძღვრა.

ისე, მიშასებრ სხვა შიმშილობებს თუ გავიხსენებთ, უმალ ჩარლზ ჰაიდერი გაგვახსენდება, რომელიც 1986 წლის ოქტომბრიდან 1987 წლის მაისამდე, მთელი 7 თვე იჯდა ვაშინგტონში თეთრი სახლის წინ და მთელი მსოფლიოს დასანახად „შიმშილობდა“, ანუ მსოფლიოს თვალში ნაცარს აყრიდა.

ის 210-დღიანი ცირკ-შიმშილობა კარგად ახსოვთ ჩემი თაობის ადამიანებს, მგონი ბირთვული იარაღის სამხედრო იარაღად გამოყენებას აპროტესტებდა. საბჭოთა ჟურნალისტებმა უმალ იყნოსეს მწვადის სუნი-ამერიკელი კაცი ამერიკაში ამერიკის პოლიტიკას გმობდა. „ვრემია“ ჰაიდერით იწყებოდა, არც „პრავდა“ – „იზვესტია“ აკლებდა ყურადღებას. მიხეილ გორბაჩოვმაც კი გაუგზავნა პირადი წერილი იმპერიალიზმის ბუნაგში იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ამხანაგ ჰაიდერს და სთხოვა მოფრთხილებოდა მთელი პროგრესული კაცობრიობისთვის ძვირფას სიცოცხლეს. თუმცა, დრო, რაც უფრო უსაზღვროდ იჭიმებოდა (ბოლოს კი 7 თვეს მიაღწია), გმირული ჰაიდერიზმით საყოველთაო აღტაცება ჩაქრა. ყველაფერი, უბრალოდ, ფარსად იქცა. მისტერ ჩარლზმა კი, როცა მიხვდა, რომ მისი აღარავის სჯეროდა, „შიმშილობა“ შეწყვიტა და, მგონი, აშშ პრეზიდენტობის კანდიდატადაც კი წამოაყენა უკვე საქვეყნოდ ცნობილი თავისი პერსონა. ისე, ერთი ხეირიც ნახა: დასაწყისში თუ 136 კილო იყო, შვიდთვიანი დიეტის შემდეგ წონა გაინახევრა.

რაც შეეხება სააკაშვილის შიმშილობის საპროტესტოდ მოშიმშილე ელენე ხოშტარიას, რომლის თავგანწირვაც არავის ეჭვს არ იწვევს და, ამდენად, ფართო საზოგადოების თანაგრძნობაც მოიპოვა, ერთი პოლიტიკური პატიმრის ტრაგიკულად დასრულებული შიმშილობა მინდა შევახსენო.

პოლიტიკური ორგანიზაცია „ირა“ („ირლანდიის არმია“) მეოცე საუკუნეში ათწლეულების მანძილზე იბრძოდა დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ. „ირას“ მრავალი წევრი დაიღუპა ციხეში. ერთ-ერთი მათგანი იყო ბობი სენცი – შიმშილობის ჩემპიონი. ბობი მოითხოვდა, რომ ის პოლიტიკურ პატიმრად ეცნოთ. როცა მიზანს ვერ მიაღწია, შიმშილობა გამოაცხადა და...66 დღე (!) იმარხულა. თავისი პროტესტი 66-ე დღეს შეწყვიტა, როცა... გარდაიცვალა.

**ამრიგად, 66 დღე აქამდე ცნობილ შიმშილობათა ბოლო ზღვარია.**

**მიშამ, რომელიც უკვე 50 დღეა „შიმშილობს“ და ელენემ, რომელიც უკვე 17 დღეა მართლა შიმშილობს მიშას „შიმშილობის“ გამო, უნდა გაითვალისწინონ ეს. უნდა გაითვალისწინონ იმ მიშისტებმაც, რომლებიც თბილისის ქუჩებში აწყობენ საპროტესტო მსვლელობებს ფეხით თუ ავტომობილებით.**

დღეს ყველაფერს პოლიტიკოსები და პოლიტიკოსების (მათ შორის აგერ-ეგერ თუა მართლა პოლიტიკოსი) „ვანკა-ვსტანკა“ ხელის ბიჭები წარმართავენ. ისინი უფრო აქტიურები არიან მოშიმშილეთა ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, ვიდრე ექიმები. სწორედ ისინი გვატყობინებენ, რომ მესამე პრეზიდენტი „საწოლიდან ველარ დგება“, „მისი დღეები დათვლილია“, თორემ ექიმები შეუშფოთებელნი არიან, ჯერჯერობით კრიტიკული და სასიკვდილო არაფერი სჭირსო, ეს ისინი (დამსმენ-პროვოკატორი სალომე სამადაშვილი და სხვ.) გვემუქრებიან, გვაშინებენ, უახლოეს მომავალში საქართველოში ევროპარლამენტარების მრავალრიცხოვანი შემადგენლობა ჩამოვა და ხელისუფლებას დედას უტირებსო.

ეს „პოლიტიკოსები“ მესამე პრეზიდენტს გადაფოფრილები არიან, ქვეყნის სიმბოლოა და განსაკუთრებული პატივისცემა ეკუთვნისო, მეხუთე პრეზიდენტს კი, ასაკოვან, საპატიო ქალბატონს „ეგრეთწოდებულს“ და... „ვირის ხორცს“ ეძახიან (ავტორი – მართლა ვირი და ვირიშვილი გიგი უგულავა) და პარიზში სამუშაო ვიზიტით მყოფს კაფეში ვახშმობისას იქ მცხოვრები, წაქეზებული ქართველები თავს ესხმიან „მონა, მონას“ და „სირცხვილიას“ ძახილით.

**ასეთია ჩვენი დღევანდელობა და რაც უფრო სწრაფად ჩათავდება იგი, მით უკეთესი. თორემ გამორიცხული როდია, რომ სააკაშვილის შიმშილობა ჰაიდერის შიმშილობად იქცეს და „მიშა, მიშას“ ბღავილით ქუჩა-ქუჩა სირბილი 2022 წლის გაზაფხულის მარწყვობამდე გაიჭიმოს...**

**ალეკო ასლანიშვილი**




„ირას“ მოშიმშილე წევრები

# ინკვიზიციის გამცოცხლებელნი!..



## ირაკლი კობახიძე: სააკაშვილს რომ კაცობა და ღირსება ჰქონდეს, შიმშილობას შეწყვეტდა!

**მიხეილ სააკაშვილი არის პასუხისმგებელი იმ ადამიანების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე, ვინც ახლა შიმშილობს. მას შეუძლია, შეწყვიტოს თავისი შიმშილობა და ეს აისახება მოშიმშილე ადამიანების ჯანმრთელობაზე.**

მისივე თქმით, მიხეილ სააკაშვილი არის პასუხისმგებელი მათ შორის ელენე ხოშტარიას შიმშილობაზე.

**„მიხეილ სააკაშვილს რომ ჰქონდეს კაცობა და ღირსება, ამას გააკეთებდა, თუმცა მას ნულოვანი კაცობა, ღირსება აქვს. მიხეილ სააკაშვილი არის პასუხისმგებელი ყველაფერზე, მათ შორის იმაზე, რომ სხვები შიმშილობენ, განსაკუთრებით, ელენე ხოშტარია, რომლის ჯანმრთელობა არის სერიოზული რისკის ქვეშ. მიხეილ სააკაშვილი არის ამაზე პირდაპირ პასუხისმგებელი“, —** განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

## უკიდურესად მატყუარები!..

**კონსილიუმის წევრთა უდიდესი უმრავლესობა არის პოლიტიკურად უკიდურესად მიკერძოებული. ამას თვეების განმავლობაში არ მალავდნენ, მათ შორის, საკუთარი საჯარო პოლიტიკური განცხადებებით.** მისი თქმით, ბუნებრივია, კონსილიუმის მიმართ ნდობის ხარისხი არის ძალიან დაბალი და წინასწარ ადვილად პროგნოზირებადი იყო ე.წ. დასკვნა, რომელიც მომზადდა.

**„სინამდვილეში, მათ დასკვნა უნდა მოემზადებინათ ე.წ. რეფიდინგთან დაკავშირებით, რაც უკავშირდება შიმშილობის შემდგომ მკურნალობას. სააკაშვილი აცხადებს, რომ მას აღარ აქვს პოლიტიკური მოთხოვნა, აღარ შიმშილობს პოლიტიკური მოთხოვნით, მისი ერთადერთი მოთხოვნაა სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანა, ამ შემთხვევაში, წყვეტს შიმშილობას. აქედან გამომდინარე, ამ ე.წ. კონსილიუმს უნდა მოემზადებინა დასკვნა არა შიმშილობის მკურნალობასთან დაკავშირებით, არამედ შიმშილობის შემდგომ მკურნალობასთან დაკავშირებით. ეს რომ არ გააკეთა, ეს კიდევ ერთი მარტივი დასტურია მისი პოლიტიკური მიკერძოებულობის. ანუ, იმთავითვე ტყუილია ის, რაც გააკეთა ე.წ. კონსილიუმმა. როცა იდება ასეთი ფეიკდასკვნა ექიმებისა და სახალხო დამცველის მიერ, ეს ამ ეტაპზე არის ერთი მორიგი ფეიკი, მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ თუ ამ ფეიკდასკვნას გაგრძელება მოჰყვა, რაც არის მიხეილ სააკაშვილის სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანა და ამას მოჰყვა ის სცენარი, რისიც ჩვენ გვეშინია, ამ შემთხვევაში, ეს მორიგი ფეიკი ხდება ისეთი რამ, რასაც შეიძლება პირდაპირ პასუხისმგებლობაც მოჰყვეს, მათ შორის ომბუდსმენის და კონკრეტული ექიმების“, —** განაცხადა კობახიძემ.

## ჩვენ ვიქნებით პრინციპულები!

**ყველას კარგად გვახსოვს, თუ რას ეფუძნებოდა ის რეჟიმი, რომლის ხელმძღვანელი, მთავარი დამკვეთი იყო მიხეილ სააკაშვილი, რომლის ერთ-ერთი მთავარი შემსრულებელი იყო მეგის ქარდავა... —** ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, ირაკლი კობახიძემ განაცხადა. ირაკლი კობახიძის თქმით, დღეს, პროკურატურის მხრიდან სწორედ ამის შეხსენება იყო.

**„ვიხილეთ, როცა წამების მორიგი მტკიცებულება ნახა ქართველმა საზოგადოებამ. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ რას შეგვახსენებს? — ჩვენ უნდა ვიყოთ პრინციპული იმ პოლიტიკური ძალის მიმართ, რომელიც მთლიანად ძალადობასა და სიცრუეს ეფუძნებოდა. ასევე რომელსაც კიდევ ჰქონდა ილუზია და ამბიცია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ძალაუფლებას დაიბრუნებდა. რა თქმა უნდა, ქართველი საზოგადოება ამას არ დაუშვებს და „ქართული ოცნება“ ქართველ საზოგადოებას ამის არდაშვებაში დაეხმარა. „ნაციონალური მოძრაობა“ არ არის მხოლოდ ცუდი პოლიტიკური ძალა, ეს არის ძალიან საშიში პოლიტიკური ძალა, რომელსაც ჰქონდა არჩევნებზე ხელისუფლებაში დაბრუნების ამბიცია და ილუზია, ეს ილუზია ბოლომდე ჩაბარდება წარსულს, რაც არის ჩვენი პასუხისმგებლობა და ქართველი საზოგადოება ამას გააკეთებს“, —** განაცხადა კობახიძემ.

## თეა წულუკიანი: რაც უფრო მალე შევწყვეტთ საუბარს სამედიცინო თემებზე, მით უკეთესი!

პოლიტიკოსები სახალხო დამცველის მიერ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას აფასებენ.



**„რაც უფრო მალე შევწყვეტთ საუბარს სამედიცინო თემებზე, ოპოზიცია იქნება ეს თუ ჩემნაირი პოლიტიკოსები, მით უფრო კარგად იქნება დაცული ამა თუ იმ პატიმრის ინტერესი, ვინაიდან ჯანმრთელობა არის სამედიცინო საკითხი და არა პოლიტიკური. მთავარია, რომ ექიმები ერთ კონკრეტულ აზრზე ჩამოყალიბდნენ, თუ სხვადასხვა ჯგუფს შორის განსხვავებული აზრი არსებობს. პენიტენციურ სამსახურში არასოდეს ყოფილა იმის პრობლემა, რომ მედიკოსების აზრი ყოფილიყო გათვალისწინებული. დარწმუნებული ვარ, არც ამ შემთხვევაში იქნება“, —** განაცხადა წულუკიანმა.

## დავით მაღრაძე: თუ ვინმეს არ აქვს პატიმრის უფლებებზე საუბრის უფლება, ეს დღევანდელი პატიმარი სააკაშვილი და მისი მხარდამჭერები არიან



ამის შესახებ პოეტმა, დავით მაღრაძემ განაცხადა. მისი თქმით, სააკაშვილი საპატიმროში სრულიად განსაკუთრებულ პირობებშია.

**„ვინაიდან თავშივე ითქვა „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელის მიერ, რომ ჩვენ არ მოვექცევით ამ ხალხს ისე, როგორც იმსახურებენ, არამედ ჩვენ მოვექცევით ისე, როგორც ქართული კულტურის ისტორიას ეკადრებაო, ვეთანხმები, ვიზიარებ ამას და ვფიქრობ, რომ სრულიად განსაკუთრებულ პირობებშია სხვა პატიმრებთან შედარებით. სახელმწიფოს მხრიდან სხვა პატიმრების მიმართ ეს შესაძლოა, არ იყოს მთლად სწორი მიდგომა, რადგან არ შეიძლება ქვეყანაში პირველხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი მოქალაქე არსებობდეს, ეს შეურაცხმყოფელია. თუ ხელისუფლება უზრუნველყოფს ყველა დანარჩენი პატიმრის უფლებებს ისევე, როგორც დღეს ყოფილი პრეზიდენტის, უკრაინის მოქალაქის უფლებებია უზრუნველყოფილი, მაშინ სწორია. ყველა ის პირობა, რომლის შესაძლებლობაც აქვს და არ აქვს საქართველოს, ყველაფერი უნდა გამოიყენოს, როდესაც საქმე პატიმრის უფლებებს ეხება, როგორი ავად გასახსენებელი ბიოგრაფიაც უნდა ჰქონდეს ამ კაცს“, —** აღნიშნა დავით მაღრაძემ.




## პატიმარს საკუთარი ჩვენება შეაჭამეს, შემდეგ კი პატიმრის გაუპატიურების ინსცენირებას აყურებინეს!...






# მწამებლები

პროკურატურამ პატიმრის წამების ფაქტზე სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულების ყოფილი დირექტორი ალექსანდრე მუხაძე ბრალდებულად პასუხისგებაში მისცა. ფაქტთან დაკავშირებით უწყებაში ბრიფინგი გაიმართა და დანაშაულის ამსახველი კადრებიც გამოქვეყნდა.

**„საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2011 წლის მაისში, ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვის ფაქტზე დაკავებულ პირს მეგის ქარდავამ და ალექსანდრე მუხაძემ მოსთხოვეს გაურკვეველ და არარსებულ ტერორისტულ აქტებში მონაწილეობის აღიარება, ასევე ამ დანაშაულებრივ საქმიანობაში თითქოსდა მონაწილე სხვა პირებზე ჩვენების მიცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრნენ გაუპატიურებით.**

**ასევე, საქმეში არსებული ჩვენებების თანახმად, აღნიშნულ პირს ნარკოტიკული ნივთიერება დაკავებისთვის საფუძვლის შესაქმნელად ჩაუდეს.**

**სასურველი ჩვენების მიცემაზე უარის მიღების შემდეგ, დაკავებული ჩაიყვანეს ციხის ე.წ. კარანტინში, სადაც აყურებინეს თუ როგორ ძალადობდნენ სექსუალურად ერთ-ერთი პატიმრის მიმართ, რის შემდეგაც დაზარალებულს დაემუქრნენ, რომ თუ სასურველ აღიარებით ჩვენებას არ მისცემდა, მასაც გააუპატიურებდნენ.**

**ალექსანდრე მუხაძემ პატიმარს არაერთხელ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შემდეგ, დაზარალებულმა მეგის ქარდავას მითითებით, არარსებულ ტერორისტულ აქტებში მისი მონაწილეობის აღიარებითი ჩვენება დაწერა.**

**წამების შედეგად მიღებული აღიარებითი ჩვენება ალექსანდრე მუხაძისა და მეგის ქარდავასთვის არ აღმოჩნდა საკმარისად ამომწურავი, რის გამოც აღნიშნულმა პირებმა პატიმარი აიძულეს შეეჭამა ის ფურცელი, რომელზეც მისი ჩვენება იყო დაწერილი.**




**სასურველი ჩვენების მისაღებად, იგი შეიყვანეს ერთ-ერთ საკანში, სადაც ნიღბებში გამოწყობილი სხვა პატიმრების გამოყენებით მოუწყვეს სექსუალური ძალადობის ინსცენირება, რომელიც კამერით გადაიღეს.**

**2011 წლის მაისიდან 2012 წლის თებერვლის თვემდე დაზარალებული არაერთხელ იქნა დაკითხული, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ხდებოდა მისი დაპირისპირება ე.წ. ტერაქტში თითქოსდა მხილებულ სხვა პირებთან. ერთ-ერთი დაპირისპირების დროს, სასურველი ჩვენების მისაღებად მეგის ქარდავამ პატიმარს თავზე დაადო პისტოლეტი და ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზნით დახვრეტის იმიტაცია მოახდინა.**

**ცემის, წამების, სექსუალური ძალადობის ამსახველი კადრების გავრცელების და ფიზიკური შეურაცხყოფის გაგრძელების შიშით, დაზარალებული იძულებული გახდა ხელი მოეწერა მისი მწამებლებისთვის ხელსაყრელი აღიარებითი ჩვენებისთვის.**

**ალექსანდრე მუხაძის, მეგის ქარდავას და დაწესებულების სხვა თანამშრომლების მხრიდან პატიმარზე განხორციელებული წამების არაერთი ფაქტის გამო, მან თვითმკვლელობა სცადა“!**

**უწყებაში ასევე აღნიშნავენ, რომ წამების შედეგად მიღებული აღიარებითი ჩვენების მიუხედავად, ე.წ. ტერაქტში მონაწილეობაზე, ასეთი ტერორისტული აქტის არარსებობის გამო, არ დაწყებულა გამოძიება და პატიმრის მიმართ ტერაქტში მონაწილეობაზე სისხლისსამართლებრივი დევნა.**

**დაზარალებულმა პატიმარმა მხოლოდ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, 2013 წელს, დატოვა სასჯელაღსრულების დაწესებულება.**

**„როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, მეგის ქარდავა საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების შუამდგომლობის საფუძველზე, დააკავეს უკრაინის ტერიტორიაზე. დაკავებისას მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოიღეს არაერთი ვიდეოჩანაწერი, რომლებიც გამოთხოვილი იქნა უკრაინის შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან.**

**ვინაიდან ალექსანდრე მუხაძე თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას, — წამებისათვის — ბრალდება მას დაუსწრებლად წარედგინება საქართველოს სსკ-ის 1441-ე მუხლის II ნაწილით. ბრალდება სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთას ცხრიდან თხუთმეტ წლამდე ვადით ითვალისწინებს“!**

# პაატა ქურდაძის პოლიტიკური ავანტიურა საზოგადოებრივ მაუწყებელზე



საზოგადოებრივი მაუწყებელი

## „1917 წელი. რევოლუციები“

**ელექტრონული მედიის თავხედობამ უტიფრობის ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, რომლის სათავეშიც სამწუხაროდ, საზოგადოებრივი მაუწყებელი დგას და პირველობას არავის უთმობს.**

**ჩემს ახალგაზრდობაში ერთი ანეკდოტი დადიოდა — მატარებელში ერთმა ქალმა დაიჩივლა: ჩემი შვილების შემხედვარე ერთი ფეხი ქუთაისში მიდგას, მეორე კი თბილისშიო. იქვე მჯდომმა გურულმა მოსწრებულად უპასუხა: იფ, რა კარგი საყურებელი იქნებით ხაშურიდანო!**

**საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც ხალხის, მათ შორის უამრავი მშიერი ადამიანის ჯიბიდან ამოღებულ მილიონებს, გაურკვეველი მიმართულებით, სრულიად გაუგებარ, რიგ შემთხვაში ხალხის გამაღიზიანებელ და ხალხის ინტერესების საწინააღმდეგო გადაცემებში ხარჯავს!..**

**რა ჰქვია ამას?!**

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, რომელიც ორ სკამზე ზის და მას მხოლოდ ერთი დამფინანსებელი — საკუთარი ხალხი ჰყავს, კეთილი ინებოს და საჯდომი გაასწოროს!

ისტორიას ჩაბარდა სიცრუის ტირაჟირების, ბოროტი ცილისწამების თუ შეფარული ანტისახელმწიფოებრივი ქმედების თვალის გადავლებაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ ჯანსაღ ცენზურაზე.

საქართველოს მოსახლეობა, სამწუხაროდ, ყველაზე ხარბად საზღვარგარეთიდან შემოთრეულ ნაგავს ეტანება, რომელიც ყოვლად უვარგისი და უიდეო მასალაზეა აგებული. დღეს საზოგადოებრივი მაუწყებელი დიდი თავმოწონებით იხსენებს და გულში იკრავს იმ წლებს და იმ შორეულ ექოს, რომელსაც ზოგიერთისთვის აგრერიგად საყვარელი რადიოსადგურები „ამერიკის ხმა“ და „თავისუფალი ევროპა“ გადასცემდა. დღესაც ბევრია ამ ტელევიზიაში ევროპის ძირგავარდნილი მორალის მოტრფიალე ადამიანი, რომლებიც გულმოდგინედ ნერგავენ ხალხში, ძირითადად კი ახალგაზრდობაში აზრებს, ქრისტიანობით აღორძინებულ ევროპაში სწორედ ქრისტესმიერი ცხოვრების წესი რომ მოსპო და ბარაბას გზას დაადგა.

ეს ფრთაშეჭრილი ღამურები, რომლებიც ისევ თაგვებად იქცნენ, ამჯერად თავიანთი ქვეყნის ძირგამომთხრელ თხუნელებად გარდაიქმნენ. თავს მაღლა სწევენ თავიანთი ლიბერალობით და გვასწავლიან წესსა და ადათს ხალხს, რომლებმაც 3 000 წელი, სახელმწიფოებრიობის დაუკარგავად, გამოვატარეთ ქვეყანა ამ გორმახ გზაზე და სახე არ დავუკარგეთ. მახსოვს, რამდენიმე წლის წინ ილია II-ს დიპლომატთა არმია ეწვია, რომელიც თავისებურად „მოძღვრავდა“ ჩვენს ბრძენ პატრიარქს, ის კი სულგრძელად უსმენდა. ბოლოს კი თავი ასწია, სტუმრებს გადახედა და ჩუმი ხმით წარმოთქვა: მე საქართველოს პატრიარქი ილია II გახლავართ, ხოლო პატრიარქი ილია I საქართველოს 1 600 წლის წინ ჰყავდაო ...

დღეს კი, ლიბერალების მიერ გალიბერასტებული საქართველოს ნახევარი მოსახლეობა, რომელსაც არ გამოუკვლევია პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობა, ჩვენ თვალწინ დატრიალებული, ტრაგიკული და ბუნდოვანებით მოცული გარდაცვალება ქვეყნის პრემიერისა ზურაბ ჟვანიასი, ქუჩაში წიწილასავით გასრესილი საქართველოს სინდის-ნამუსის გურამ შარაძისა, ბოლომდე არ ვიცით სააკაშვილის დროინდელი 350 ათასი ქართველი მსჯავრდებულის ამბავი და ასაობით ქუჩაში დახოცილი ახალგაზრდის — ქართული გენოფონდის ამოჟლეტის ამბავი, ყოველგვარი გასამართლების გარეშე და პირდაპირ დამიზნებით დახრეტილები, ვიღაც ტვინდამთხვეული ლიბერასტი, საფრანგეთიდან დაბრუნებული, კაცმა არ იცის ვის მიერ დაქირავებული მარიონეტი, ცდილობს დღის სინათლეზე გამოიტანოს ნაფტალინიდან ამოღებული, ნაკლებად ცნობილი ფრანგი რეჟისორის ბერნარდ ჟორჟის ჟანგმოდებული ფილმი „1917 წელი. რევოლუციები“.

მაშინ, როდესაც შიმშილით, შეურაცხყოფით, ენის წართმევით, სარწმუნოების წაბილწვით, ქვეყნის მიწა-წყლის წართმევით შეწუხებული საზოგადოება ქუჩაში გამოსულა და ეძებს სამართლიანობას, ვიღაც მარიონეტი და მჯღაბნელი პაატა ქურდაძე, თავისი ტელეგადაცემით ნათელ მაგალითს აჩვენებს ახალგაზრდობას, თუ როგორ მზადდება და როგორ იწყება რევოლუცია. ახალგაზრდობას არწმუნებს ცინიკურად, რომ რევოლუცია არა ხრუშჩოვის თავზე სტალინის მიერ დაბერტყილი ჩიბუხის ლეგენდაა, ან ბერიას მიერ ატომური ბომბის მოპარვა და მოსკოვის 37-მანეთიანი თვითმფრინავის ბილეთია, არამედ 70-წლიანი ჩაკეტილი სივრცე, რომლის დროსაც, თურმე, მოწყვეტილი ვყოფილვართ განათლებას, კულტურასა და გარე სამყაროს.

Monsieur პაატა! თუ თქვენ სადმე სიბნელეში ან დილეგში იყავით ჩაკეტილი და ისე იზრდებოდით, ამას ნუ გაავრცელებთ მთელ საბჭოთა სისტემაზე, რადგან სწორედ საბჭოთა განათლების სისტემის დამსახურება გახლავთ, რომ სსრკ-მ მსოფლიოში პირველმა გაგზავნა ადამიანი კოსმოსში და შოკში ჩავარდნილმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, სინანულით წარმოსთქვა: **„ჩვენ საბჭოთა კავშირმა სკოლის მერხიდან დაგვამარცხა“**. Monsieur პაატა, თქვენ ეს არ გაგიგიათ, ალბათ.

თუ თქვენ საკუთარი განათლების დონით უკმაყოფილო ხართ, რაც აშკარად გეტყობათ და არ მალავთ, თქვენს თავს დააბრალეთ, რადგან პირადად მე, გრიგოლ ონიანი, რომელიც საქართველოს ყველაზე მაღალმთიანი რაიონის ყველაზე მაღალმთიან სოფელში დავიბადე და გავიზარდე, სწავლა-განათლება არ დამკლებია. სხვათა შორის, ჩემს 70-კომლიან სოფელში 3 ბიბლიოთეკა, 1 კინოთეატრი, 2 სკოლა (დაწყებითი და საშუალო) და 10-მდე თვითმოქმედი კოლექტივი მოქმედებდა და გაითვალისწინეთ, რომ ეს დიდი სამამულო ომის შემდგომი პერიოდია, 1946-1950 წლები (!) და სწორედ, რომ კვარზე, უკეთეს შემთხვევაში ნავთზე, 1947 წლის(!) ზამთარში ახლადგამოცემული, თეთრ ყდაში ჩასმული, ყაზბეგის ორტომეული წავიკითხე. ამავე წლებში წავიკითხე შექსპირი, გოეთე, შილერი, სერვანტესი,ბალზაკი და სხვა მრავალი და აქვე გეტყვით, უკვე თითქმის ზეპირად ვიცოდი „ვეფხისტყაოსანი“ და ამავე დროს, სვანურად ნათარგმნი დიდი შოთა რუსთაველის პოემის თითქმის ნახევარი.. პაატა, თუ თქვენ ვერ ან არ სწავლობდით, ამის პასუხს დღეს გარდასულ წლებში ნუ ეძებთ, ეს თქვენი პირადი პასუხისმგებლობაა...

თქვენ მასონების საქმეს აკეთებთ, ირიბად, გაუცნობიერებლად, რადგან იმ დოკუმენტური ფილმის კვალდაკვალ დაუფარავად ადიდებთ და ნაირფერებში სახავთ ებრაელ მასონთა პირველობას რევოლუციაში, სადაც ლეიბ ბრონშტეინი (ტროცკი) რევოლუციის დემონად გყავთ გამოყვანილი, ლენინი პლანეტაზე სრულიად ახალი ქვეყნის ფუძემდებლად, რომ აღარაფერი ვთქვა ებრაელ კერენსკიზე.

თქვენი განათლების დაბალ დონეს ისიც მიუთითებს, რომ ფრანცუზი დოკუმენტალისტის სცენა ოქტომბრის რევოლუციის შესახებ სიმართლეს მოკლებულია, უფრო მეტიც — აბსოლუტურ სიცრუეს წარმოადგენს. ოქტომბრის რევოლუციის დროს ლენინი სტალინს სუზდალის ყურეში ჰყავდა დამალული ბუხარინთან ერთად, რომელიც რევოლუციის წინა დღეს გამოჩნდა და რომელიც სასტიკი წინააღმდეგი იყო რევოლუციის დაწყებისა. როგორც **„მკვლევარისთვის“ თქვენთვის ცნობილი უნდა იყოს სტალინის ცნობილი სიტყვები: „რევოლუციის დაწყება 24 ოქტომბერს ძალზე ადრეა, ხოლო 26 ოქტომბერს ძალზე გვიან. რევოლუცია 25 ოქტომბერს უნდა მოხდეს“**.

ეს იმით იყო განპირობებული, რომ სტალინმა იცოდა — 24-25 ოქტომბერს ჯარების როტაცია იგეგმებოდა. მეომრები პეტერბურგიდან უკვე გასულები იყვნენ, ხოლო უკან მობრუნებული სამხედრო ნაწილები პეტერბურგში არ იყვნენ შემოსული. სტალინმა სწორეს ეს წუთები გათვალა და შანსი ხელიდან არ გაუშვა, ჩახმახს თითი მაშინ გამოჰკრა, როდესაც ამის დრო და მომენტი იყო და ავრორამაც დაიქუხა!

ლენინის დაბადებიდან 50 წლისთავზე სიტყვით გამოსულმა სტალინმა ლენინს ტრიბუნიდანვე მიმართა, რომ — მას არ სურდა რევოლუციის დაწყება 25 ოქტომბერს, მაგრამ ჩვენ მას არ დავუჯერეთ და გავიმარჯვეთ. ლენინმა მეორე დღეს ღიმილით გადმოგვხედა და გვითხრა — **თქვენ მართლები იყავითო!**

თქვენ საყვარელ ფილმში სტალინის უგულებელყოფა და მისი მხოლოდ „პრავდის“ რედაქციაში გამოჩენა, თქვენი უცოდინარობისა და პირადი სიძულვილის მაგალითია, რასაც თქვენივე მასონური დავალების შესრულების ვალდებულება ემატება.

ფილმს, რომელსაც პოპულარიზაციას უკეთებთ, მხოლოდ და მხოლოდ დავალების შესრულების მცდელობაა, რომელიც სამ მიზანს ემსახურება:

1. ააბუნტოთ დღევანდელი საქართველოს მოსახლეობა და პირველ რიგში ახალგაზრდობა, რასაც თქვენ პირდაპირ უსვამთ ხაზს. ცდილობთ, ბრძოლის მუხტი დანერგოთ ქართველ ქალთა საზოგადოებაში და ხელი შეუწყოთ მასობრივ არეულობებს, რაც დადასტურებულად შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთის ზოგიერთი გავლენიანი პირის წისქვილზე უშვებს წყალს.

2. ეს არის მასონიზმის პროპაგანდა საქართველოში და წინ წამოწევა ტროცკის, კერენსკისა და ლენინის, რომელთა ქმედება, შემოქმედება და მოღვაწეობა ხალხმა და ისტორიამ არ მიიღო, რისი აშკარა მაგალითიც არის ის, რომ თუ რუსეთში ხანმოკლე მოღვაწეობის პერიოდში ლენინს ერთხელ მოუწყვეს ტერორისტული აქტი, მავზოლეუმში, სარკოფაგში მოთავსებულ ლენინზე, საზოგადოებამ 17-ჯერ იძია შური (ცხედრის შეურაცხყოფით), ხოლო, ამხანაგო პაატა, თქვენი ცდილობა, რომ ფილმის დასრულების შემდეგ თქვენი განცხადების წინსწრება, რომ ტროცკი 1926 წლიდან სტალინმა ქვეყნიდან გააძევა, ხოლო 1940 წელს შორეულ არგენტინაში, მერკადელს მოაკვლევინა, სრულიად უადგილო ადგილზე ჩასმული სიტყვებია, რაც თქვენი თაოსნობით თუ თქვენი მასწავლებლის კატეგორიული მოთხოვნით იქნა წარმოთქმული, რაც აშკარა მიკერძოებულობად უნდა ჩაითვალოს.

თქვენი დანაპირები მომავალი ფილმის ჩვენება გულაგზე და რეპრესიებზე, ისეთივე სიყალბე და მასონური მორიგი შეთხზული სისულელეთა კასკადი იქნება, რაც ხშირად გვინახავს.

3. თქვენგან ფილმის პოპულარიზაცია ემსახურება მასონთა ერთი ჯგუფის — ლენინის, ტროცკის და კერენსკის მოღვაწეობის სრული სახით წარმოჩენას და სტალინის უგულებელყოფას როგორც რევოლუციის მზადებაში, ასევე მის განხორციელებაში. უახლესი ისტორიის გამოცდილი მკვლევარი ბატონი ვახტანგ გურული თავის მართალ კვლევაში — „სტალინის დიდი ექსპერიმენტი“ წერს:

**„ბოლშევიკური პარტიის დიდი გამარჯვება 1917 წლის 25 ოქტომბერს, სულაც არ იყო განპირობებული მარქსიზმის ყოვლისშემძლეობით, იგი არც ლენინიზმის ტრიუმფს წარმოადგენდა. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამდე რუსეთი ისტორიული პროცესის განვითარების კანონზომიერებამ მიიყვანა. პოლიტიკურ პარტიებს რევოლუციის მომზადებასა და განხორციელებაში გადამწყვეტი როლი არ უთამაშია. პოლიტიკურ პარტიათათვის ფართო სამოღვაწეო ასპარეზი შექმნა თებერვალ-მარტის რევოლუციამ. ხელისუფლებისათვის მებრძოლ პოლიტიკურ პარტიათა შორის, ყველაზე ორგანიზებული გამოგდა ბოლშევიკების პარტია, რომლის სტრატეგია და ტაქტიკა ეფუძნებოდა არა მარქსიზმს, არა ლენინიზმს, არამედ სოციალისტური მოძღვრების ახალ მიმდინარეობას — სტალინიზმს“**.

იცოდე, „მეცნიერ-მკვლევარო“, რომ ვახტანგ გურულმა ბევრად მეტი იცის მეცნიერეულად თებერვალ-მარტის რევოლუციაზე, ვიდრე თქვენ და თქვენმა გამოჩერჩეტებულმა კინოდოკუმენტალისტმა ბერნარდ ჟორჟმა.

ასე, რომ თქვენი და თქვენი ფრანგი რეჟისორის დოკუმენტური ნაცოდვილარი — „1917 წელი. რევოლუციები“, მხოლოდ იმ გაბერილი ტიკის მაგივრობას გასწევს, რომელიც მწყემსმა ცხვრებს ჩამოუკიდა გასართობად ხანგრძლივი ზამთრის ბოლო თვეს, როგორმე გაზაფხულამდე გააღწიეთო!.

ველი ახალ სისულელეებს მომავალ ორშაბთს.

**P. S.** რაც შეეხება უინსტონ ჩერჩილის წარსულზე გამონათქვამის თქვენ მიერ ორჯერ გამეორებას, უნდა შეგახსენოთ, რომ ჩერჩილის შეკითხვას — **„აპატიებდა თუ არა(სტალინი) მას წარსულში მის წინააღმდეგ გამოლაშქრებას“, სტალინმა უპასუხა: „წარსული ღმერთის საკუთრებაა, მე რა უფლება მაქვს არ გაპატიოთ“!..**

ამიტომ, ამხანაგო პაატა,ნუ გვაშინებთ წარსულით, ის ღმერთის საკუთრებაა. თქვენ კი ღმერთთან რა ხელი გაქვთ?!



**გრიგოლ ონიანი**
**ტელ: 599292900**

# უამრავი წარმატებით დახუნძლული შემოქმედება

## აკადემიკოსი ჯონი ხეცურიანი - 70

**იურიდიულ** მეცნიერებათა დოქტორსა და პროფესორს, დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობის აქტიურ მონაწილეს, აკადემიკოს **ჯონი ხეცურიანს** 70 წელი უსრულდება. მისი ცხოვრების გზა დახუნძლულია უამრავი შემოქმედებითი წარმატებით, რაც უდიდეს შრომისმოყვარეობასა და დასახული მიზნის მიღწევის ურყევ სურვილთან არის დაკავშირებული. წარჩინებული სტუდენტობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ და ეკონომიკურ ფაკულტეტებზე, ასპირანტობა ცივილური სამართლის მიმართულებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში, ამავე ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლობა სხვადასხვა საკვანძო პოზიციაზე მეცნიერებაში ღირსეული და კომპეტენტური მკვლევრის სახელის დამკვიდრების საფუძველი გახდა. მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები იურისპრუდენციის სფეროში სამეცნიერო ხარისხების მოსაპოვებლად. აქვეყნებს კერძო და საჯარო სამართლის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილ კაპიტალურ შრომებს. სამოქალაქო სამართლის ფუნქციების შესახებ მონოგრაფიის საფუძველზე მას მეცნიერების სფეროში საკავშირო ახალგაზრდული პრემიის ლაურეატობა მიენიჭა. ასეთი წარმატება იშვიათობა იყო იმ პერიოდისთვის. იგი სასურველი პედაგოგი და მისაბაძი მეცნიერი გახდა სტუდენტი ახალგაზრდობისთვის და ათეული წლების განმავლობაში



ნაყოფიერად მუშაობს მშობლიური უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის პროფესორად.

სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად სახელმწიფო საქმიანობაში ჯონი ხეცურიანის შესაძლებლობების სრულყოფილად გამოყენების აუცილებლობაც აშკარად გამოიკვეთა. ზომაზე მეტად დატვირთულობა უფროსი ვაჟიშვილის დაკარგვით გამოწვეული მწუხარებისგან ცოტათი მაინც განრიდების ცდაც იყო. იგი ორჯერ დაინიშნა საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნად, ორჯერ — იუსტიციის მინისტრად, იყო საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსა და იუსტიციის საბჭოს წევრი. სრული ვადით იმსახურა საკონსტიტუციო სასამართლოში წევრად და თავმჯდომარედ. ამ პერიოდში მიენიჭა მას იუსტიციის მთავარი სახელმწიფო მრჩევლისა და უმაღლესი საკვალიფიკაციო კლასის მოსამართლის საკლასო ჩინი.

სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის შეხამებამ მის შრომებში წინა პლანზე წამოსწია მართლწესრიგის განმტკიცების მიზნით სახელმწიფოსა და სამართლის როლის გააქტიურების პრობლემები. იმატა პუბლიცისტურმა წერილებმა და მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფისკენ მიმართულმა რეკომენდაციებმა. მან პირველმა აქტიურად დაიწყო ბრძოლა საქართველოში სასჯელის ზომად სიკვდილით დასჯის გასაუქმებლად. იგი ჩვეული პრინციპულობით გამოირჩეოდა ავადსახსენებელი 9 აპრილის ტრაგედიის საგამოძიებო კომისიის მუშაობის პროცესში. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს კონსტიტუციისა და სამოქალაქო კოდექსის შემმუშავებელი სახელმწიფო კომისიების ხანგრძლივი საქმიანობის წარმატებით დაგვირგვინებაში. ყოველივე ამან ჯონი ხეცურიანს მოუპოვა ობიექტური, კომპეტენტური და პირუთვნელი ექსპერტის სახელი სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებში, რამაც განაპირობა ჯონი ხეცურიანის არჩევა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრად და მისი ღვაწლის საყოველთაო აღიარება.

სიამაყის გრძნობით ვულოცავთ ბატონ ჯონი ხეცურიანს საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ მხნეობას, ჯანმრთელ და ხანგრძლივ სიცოცხლეს საყვარელ ოჯახთან ერთად.

**როман შენგელია,**
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი, საქართველოს
იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი




# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ სახელმწიფო ენის პრობლემები კიდევ ერთხელ განიხილა

**2021 წლის 16 ნოემბერს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეროვნული პრობლემების შემსწავლელი კომისიის სხდომა, რომელზეც მოისმინეს აკადემიკოს ავთანდილ არაბულის მოხსენება „ქართული სახელმწიფო ენის პრობლემები“.**

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ელიზბარ ჯაველიძემ; სხდომას ესწრებოდნენ, — აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე, ვიცე-პრეზიდენტი როინ მეტრეველი, აკადემიკოს-მდივანი რამაზ ხუროძე, აკადემიის სხვა წევრები და სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი.

მომხსენებელი შეეხო სახელმწიფო ენის ისტორიული ფორმირების, ეროვნულ ენასთან მისი მიმართების საკითხებს; წარმოაჩინა ის საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც სახელმწიფომ უნდა „მოიმარჯვოს“ თანამედროვე ენობრივი პროცესების სამართავად; მიუთითა, თუ რა ხასიათისაა დღევანდელ ვითარებაში, ნეოლიბერალური იდეოლოგიის დამკვიდრების პირობებში ეს პროცესები; ვრცლად შეეხო სახელმწიფო ენის კანონის თეორიულ საფუძვლებს და წარმოაჩინა მიზეზები, რომლებიც გადაულახავ დაბრკოლებად დახვდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ჩანაფიქრის რეალიზაციას; ხელშესახებად აჩვენა ის მრავალმხრივი სირთულეები, რომლებიც ქართულის — როგორც პოლივალენტოვანი სახელმწიფო ენის — თანამედროვე სიცოცხლისუნარიანობას უქმნის საგრძნობ საფრთხეს, კერძოდ, წარმოაჩინა უპირობოდ მოსაგვარებელი პრობლემები სახელმწიფო ენის სწავლების, მისი ნორმატიული და ტერმინოლოგიური განახლების, აუცილებელი ლექსიკონებითა და ელექტრონული ბაზებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

მოხსენებასა და მასთან დაკავშირებულ გამოსვლებში გამოიკვეთა ერთობ არასახარბიელო ვითარება არსებითად ყველა იმ საკითხში, რაც უკავშირდება სახელმწიფო ენის თანამედროვე მდგომარეობას. მის სრულფასოვან ფუნქციონირებასა და დღევანდელობისათვის აუცილებელი რესურსებით მის უზრუნველყოფას.

ეროვნული პრობლემების შემსწავლელი კომისია მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ გადაუდებლად უნდა მიიღოს ქმედითი ზომები სახელმწიფო ენის ორგანული კანონის, მისი სხვა მომიჯნავე კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების რეალური ამოქმედებისათვის, რათა დაიძლიოს ის სისტემური კრიზისი, რამაც უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში უკიდურესად შემაშფოთებელი შედეგები გამოიწვია სახელმწიფო ენის ფუნქციონირების არსებითად ყველა მიმართულებით.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**

# საქართველოში დაბრუნდა

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, თეა წულუკიანმა სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე 2003 წელს რუსეთში საგამოფენოდ გატანილი ნამუშევრების საქართველოში დაბრუნების შესახებ გააკეთა განცხადება.**

საქართველოდან 2003 წელს რუსეთის ფედერაციაში დროებით საექსპოზიციოდ გადაცემული ნახატები წლების განმავლობაში რუსეთის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის საცავებში ინახებოდა. თეა წულუკიანის ინიციატივით, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს თავისი ექვსივე ექსპონატი დაუბრუნდა. კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, სამუზეუმო ექსპონატების საქართველოში დასაბრუნებლად მოლაპარაკებები საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველი მოადგილის, კახა სიხარულიძისა და რუსეთის ფედერაციაში შვეიცარიის კონფედერაციის საქართველოს ინტერესების სექციის ხელმძღვანელის, გიორგი ქაჯაიას აქტიური მონაწილეობით წარიმართა.

**ექვსი ექსპონატი ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმს უბრუნდება. ესენია: ბორის ფოგელი — „თელავი“ (1936 წ.); ევგენი ლანსერე — „ხევსურეთი“ (1926 წ.); ბორის ფოგელი — „სასულიერო სემინარია“ (1934 წ.); გრიგორი გაგარინი — „ქართველი ქალები“ (1854 წ.); ლევ ლაგორიო — „ანასტასია ორბელიანი-გაგარინას პორტრეტი“ (1850 წ.), კარლ ჟუკოვსკი — „ივანე ანდრონიკაშვილის პორტრეტი“ (1850 წ.).**

თეა წულუკიანმა სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე კახა სიხარულიძესა და გიორგი ქაჯაიას თავდაუზოგავი მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა. ასევე, პროექტის მხარდაჭერისთვის მინისტრმა მადლობა გადაუხადა ცნობილ ქართველ მოქანდაკეს, საქართველოს სახალხო მხატვარს ზურაბ წერეთელს.

**„შეგახსენებთ, რომ თეა წულუკიანის ინიციატივით, 2021 წლის აპრილში დაიწყო სხვადასხვა დროს (1999-2010 წლები) შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმიდან და დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეიდან გატანილი ექსპონატების შეგროვება და მუზეუმისთვის მათი დაბრუნება. მაგალითად, მიმდინარე წლის სექტემბერში დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეას 2010 წელს ჩეხეთის რესპუბლიკაში გატანილი ოთხი ფერწერული ტილო დაუბრუნდა — ირაკლი სუთიძის „ნატურმორტი“, თენგიზ ცხონდიას „ქართლი“, ომარ კაჭკაჭიშვილის „ადრეული გაზაფხული“ და გურამ ნავროზაშვილის „აღორძინება“. მანამდე კი, მიმდინარე წლის მაისში შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმსა და ეროვნულ გალერეას დაუბრუნდა კულტურის სამინისტროში მოძიებული 12 ფერწერული ტილო (ელენე ახვლედიანი, „ფასანაური“; ელენე ახვლედიანი, „ძველი ქუთაისი“; ედმონდ კალანდაძე, „ძველი სასაფლაო — ბაზილიკა“; გურამ (ხიტა) ქუთათელაძე, „ნატურმორტი“; გურამ (ხიტა) ქუთათელაძე, „პეიზაჟი“; ლევან ლაღიძე, „განდევნა“; სერგო ქობულაძე, „რუსთაველი“; სერგო ქობულაძე, „დანტე“; იდა ოცხელი, „ფოთოლცვენა“; რადიშ თორდია, „მოხუცი ქალი შემოდგომის ყვავილებით“; მიხეილ ხვიტია, „შემოდგომა“; თენგიზ ცხონდია, „ძველი თბილისის კუთხე“)“, — ნათქვამია კულტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.**



# კახა კალაძე: ყველამ ერთად ვაკეთოთ საქმე, მხოლოდ საქმე!

**თბილისის მერიაში 17 ნოემბერს მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა.**

**გთავაზობთ მთავარ ამონარიდებს კახა კალაძის გამოსვლიდან.**



„ჩვენი საარჩევნო პროგრამის შესრულების ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი, ყველამ კარგად იცის, რომ მუნიციპალური ბიუჯეტია, რაზეც საარჩევნო პროგრამის ფარგლებშიც მისაუბრია. ჩვენი მიზანია, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა მომდევნო წლების განმავლობაში, მილიარდ 700 მილიონ ლარს მიაღწიოს. როდესაც 2017 წელს ქალაქის მთავრობაში მოვედით, 820 მლნ-დან ავედით მილიარდ 200 მლნ-ზე, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, იმიტომ, რომ გაზრდილი ბიუჯეტი გვაძლევს შესაძლებლობას, დედაქალაქში ინფრასტრუქტურული, ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებებით, უფრო მეტი პროექტი განვახორციელოთ და უფრო მეტი თანადგომა გამოვუცხადოთ იმ ოჯახებს, რომელთაც სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის და ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან თანადგომა ყველაზე მეტად სჭირდებათ“.

* * *

„**კანონმდებლობიდან** გამომდინარე, შუალედური პროექტი უკვე წარვუდგინეთ საკრებულოს, რომლის მიხედვითაც, საბიუჯეტო ნაწილი შედგება მილიარდ 200 მლნ-სგან, ხოლო დონორი ორგანიზაციებისგან მოზიდული გრანტების ფარგლებში, დაახლოებით, 230 მლნ ლარია განსაზღვრული. ჯამურად, ამ ეტაპზე, შუალედური ბიუჯეტი არის მილიარდ 430 მლნ-ზე წარდგენილი. ეს არის შუალედური ბიუჯეტი და არა საბოლოო. ჩვენ ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს ცენტრალურ ხელისუფლებასთან. რამდენჯერმე მქონდა შეხვედრა პრემიერ-მინისტრთანაც. მინდა, ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ირაკლი ღარიბაშვილს მხარდაჭერისა და თანადგომისთვის. გვექნება შესაძლებლობა, დედაქალაქის ბიუჯეტმა სპეცტრანსფერით, დამატებითი თანხები მიიღოს, რათა შევძლოთ იმ პროექტების განხორციელება, რაზეც მთელი საარჩევნო კამპანიის განმავლობაში, თბილისელებს ვესაუბრებოდი. საბოლოო ბიუჯეტთან დაკავშირებით, უახლოეს მომავალში გვექნება გადაწყვეტილება და ზუსტი ციფრი გვეცოდინება. დღეს რაც არის წარდგენილი საკრებულოში, ეს არის შუალედური ბიუჯეტი. მას შემდეგ, რაც ცენტრალურ ხელისუფლებასთან განხილვას და მოლაპარაკებას დავასრულებთ, დამატებითი სახსრების მობილიზების შესახებ გვეცოდინება და, რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს საზოგადოებას ინფორმაციის სახით მივაწვდით“.

* * *

„**პარლამენტმა** მესამე მოსმენით მიიღო საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ამარტივებს სამშენებლო პროცედურებს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისთვის. კერძოდ, მოიხსნა საეტაპო ოქმების წარდგენის ვალდებულება. რაც შეეხება არაინდივიდუალურ სახლებს, ნებართვის მფლობელები საეტაპო ოქმების წარუდგენლობაზე პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდნენ 2022 წლის პირველ იანვრამდე, თუმცა, მათ დარჩათ ვალდებულება, საეტაპო ოქმები და საჭიროების შემთხვევაში, დასკვნები წარადგინონ“.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ინდივიდუალური სახლების მშენებლობის პროცესის კონტროლი სუსტდება. მშენებლობის ნებართვის მფლობელმა სახლის მშენებლობის დასრულების შემდეგ, ექსპლუატაციაში მიღების შესახებ განცხადებას თან უნდა დაურთოს შეფასება ობიექტის სანებართვო პირობებთან შესაბამისობის შესახებ. ცვლილებების მიზანია, მოქალაქეებს ავარიდოთ ბუნდოვანება და შევამციროთ ბიუროკრატიული პროცედურები, ასევე, ავარიდოთ ფინანსური ხარჯი“:

* * *

„**როგორც** იცით, დაწყებული გვაქვს საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლება და მოწესრიგება. ჩემი დაპირება იყო, რომ წლის ბოლოსთვის მიკროავტობუსების პარკიც იქნებოდა განახლებული. ჩვენ ამ დაპირებას აუცილებლად შევასრულებთ. მინდა, მოგაწოდოთ ინფორმაცია ახალ მარშრუტებთან დაკავშირებით, რომელიც ემატება იმ რაიონებს, უბნებსა და ქუჩებს, სადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. კერძოდ, №421, №441, №443, №446. ეს იქნება მეტროსადგურ „გურამიშვილიდან“ ზღვისუბანთან დამაკავშირებელი, სოფელ დიღმიდან საბურთალოსა და მთაწმინდის რაიონებთან დამაკავშირებელი, ასევე, სოფელ დიღმიდან სოფელ დიდგორსა და თელოვანთან დამაკავშირებელი მარშრუტები. როგორც გუშინ ვთქვი, ახლად რეაბილიტირებულ ინგუშეთისა და მაისურაძის ქუჩებზე ინიშნება მარშრუტი, რომელიც ამ ქუჩებს მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრთან“ დააკავშირებს.

არც ერთი ე.წ. ყვითელი მიკროავტობუსი აღარ იმოძრავებს დედაქალაქში. იქნება განახლებული, მოწესრიგებული მიკროავტობუსები, რომელიც დედაქალაქის მოსახლეობას მოემსახურება. გარდა ამისა, იანვრიდან შემოგვაქვს სიახლეები, რომელთან დაკავშირებითაც საზოგადოებას ინფორმაციას მოგვიანებით მივაწოდებთ. ასევე, იქნება ინტეგრირებული ტარიფი. როგორც იცით, მეტროს ბილეთის ყიდვის შემთხვევაში, საათნახევრის განმავლობაში, ადამიანებს აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ ავტობუსით, მიკროავტობუსით, გადასახადის გარეშე. ეს დღევანდელი მოცემულობით, ე.წ. ყვითელ მიკროავტობუსებში არ ვრცელდება, თუმცა მომავალი წლიდან ამ ინტეგრირებული ტარიფის გამოყენება ყველა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე იქნება შესაძლებელი“.

* * *

„**პირველ რიგში,** გილოცავთ ყველას, რომ თბილისმა კულტურის დარგში კიდევ ერთი საერთაშორისო სტატუსი მოიპოვა და იუნესკოში წარდგენილი განაცხადის განხილვის შედეგად, თბილისი კრეატიული ქალაქების ქსელის (Creative Cities Network) წევრი გახდა. ეს სტატუსი მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, მედიახელოვნების განვითარებასა და ერთჯერადი თუ გრძელვადიანი პროექტების განხორციელების ხელშეწყობას ითვალისწინებს, რაც დარგის განვითარებას და პოპულარიზაციას უწყობს ხელს. 10 ნოემბერს საზეიმოდ გაიხსნა დედაქალაქის მერიის მიერ დაფუძნებული თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, რომლის ფარგლებში, 20 ნოემბერს, დედაქალაქს კიდევ ერთხელ ეწვევა მისი საპატიო მოქალაქე მიხეილ ბარიშნიკოვი. ფესტივალის ფარგლებში, მაყურებელი ნახავს მის მხატვრულ ინსტალაციას, ფილმს „არც ერთხელ“.

* * *

„**დღევანდელ** სხდომას ესწრებიან გამგებლები, მათ შორის, უკვე ყოფილი გამგებლები, რომლებიც მუშაობას საკრებულოში განაგრძობენ. მინდა, მათ წარმატება ვუსურვო და მადლობა გადავუხადო თავიანთი საქმიანობისთვის. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იყო ის ოთხი წელი, რაც ჩვენ თბილისელებთან ერთად, ყველა რაიონში, უბანსა და ქუჩაზე გავაკეთეთ. საზოგადოებამ მადლიერების ნიშნად, არჩევნებში მხარი დაგიჭირათ და მოგცათ შესაძლებლობა, რომ იყოთ მათი ღირსეული წარმომადგენლები საკრებულოში. დარწმუნებული ვარ, მომდევნო ოთხი წელი კიდევ უფრო ეფექტური იქნება, კიდევ უფრო ბევრ და მნიშვნელოვან პროექტს განვახორციელებთ. კიდევ უფრო მეტი თანადგომა იქნება იმ ოჯახების მიმართ, ვისაც დღეს ჩვენი გვერდში დგომა ყველაზე მეტად ესაჭიროება“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

რაც შეეხება იმ გამგებლებს, ვინც თქვენს რაიონებში მუშაობას განაგრძობთ, მინდა გითხრათ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იქნება მომდევნო ოთხი წელი, რადგან საზოგადოება ჩვენგან კიდევ უფრო მეტს ელოდება. განსაკუთრებული კომუნიკაცია უნდა გქონდეთ თქვენს რაიონში მცხოვრებლებთან, არ უნდა იყოს ბარიერები, თუნდაც გამგებლებთან შეხვედრასთან ან ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით. აუცილებელი და სწრაფი რეაგირება უნდა იყოს შემოსულ ზარებზე. იყო გარკვეული შემთხვევები, რომ პარკებში ზიანდებოდა ატრაქციონები, შემოდიოდა შეტყობინება და ამაზე არ იყო მკაცრი რეაგირება. ეს დამოკიდებულება კატეგორიულად მიუღებელია. არამხოლოდ ის კონკრეტული თანამშრომელი, ვინც დროული რეაგირება არ მოახდინა, არამედ გამგებლები აგებთ პასუხს და დატოვებთ თქვენს თანამდებობას. ეს ყველამ გაითავისეთ, რომ როდესაც ამა თუ იმ შეტყობინებაზე არ იქნება რეაგირება, პასუხს გამგებლები აგებთ. თქვენ ხართ პასუხისმგებლები ჩემთან და თბილისელებთან მიმართებაში, ხოლო თქვენი თანამშრომელი რომ უპასუხისმგებლოდ იქცევა, ესეც თქვენი პასუხისმგებლობაა...

ისე დაალაგეთ თემა, რომ ამაზე არ მოგვიწიოს კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება. არავის მოვერიდებით. ჩვენთვის მთავარია დედაქალაქის მოსახლეობა. ამიტომ, განსაკუთრებული ყურადღებით, გაათმაგებული ენერგიითა და ენთუზიაზმით მივხედოთ ამ ქალაქს, რომელიც საზოგადოებამ ჩვენ გვანდო. ძალიან დიდი იმედი მაქვს თქვენი. ვაკეთოთ საქმე, საქმე და მხოლოდ საქმე“!..

## THE MIRROR: 600-კაციანი ბრიტანული შენაერთი მზადაა უკრაინაში გადასასროლად!

**ბრიტანეთში ჩამოყალიბებულია სწრაფი რეაგირების დაახლოებით 600-კაციანი შენაერთი, რომელიც რუსეთის შეჭრის საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში მზადაა უკრაინაში გადასასროლ**ად, — იუწყება ტაბლოიდი „The Mirror“ საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით.

**მისივე ცნობით, სამხედროების მომზადება მას შემდეგ დაიწყო, რაც თავდაცვის სამინისტროსა და საიდუმლო დაზვერვის სამსახურ MI6-ის ხელმძღვანელებმა ბრიტანეთის პრემიერი გააფრთხილეს იმის შესახებ, რომ ამჟამად რუსეთის პრეზიდენტ პუტინისგან უკრაინისა და დასავლეთის მიმართ მკაფიო საფრთხე მომდინარეობს. გამოცემის წყაროს ინფორმაციით, შენაერთში შედის 400-მდე მედესანტე, ასევე სპეცრაზმელები, მზვერავები, მედიკოსები, სამხედრო ინჟინრები და კავშირგაბმულობის სპეციალისტები, რომლებიც მზად არიან, საჭიროების შემთხვევაში უკრაინაში 36 საათის განმავლობაში ჩააღწიონ — ან თვითმფრინავებით, ან დესანტირების გზით.**

ბრიტანეთს არაერთხელ განუცხადებია, რომ ერთმნიშვნელოვნად და უპირობოდ უჭერს მხარს უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და რომ მზადაა მათ დასაცავად, მიუხედავად იმისა, რომ ამის ფორმალური ვალდებულება არ გააჩნია.

ცოტა ხნის წინ ბრიტანული შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსმა, გენერალმა ნიკ კარტერმა გააკეთა განცხადება „რუსეთსა და დასავლეთს შორის შემთხვევითი სამხედრო შეტაკების ცივი ომის დროიდან ყველაზე დიდი საფრთხის არსებობის“ თაობაზე.



**ცნობისთვის: ბოლო პერიოდში კიევი და დასავლეთის ქვეყნები შეშფოთებას გამოთქვამენ რუსეთის მიერ უკრაინის საზღვართან სამხედროებისა და ტექნიკის უჩვეულოდ დიდი რაოდენობის მობილიზების გამო, რაც, მათი შეფასებით, ქვეყანაში შეჭრისთვის მზადებას შეიძლება, წარმოადგენდეს. თავის მხრივ, მოსკოვი ამ ვარაუდებს „პროვოკაციულად“ აფასებს და „რეგიონში ნატოს აქტივობის ზრდის“ გამო გამოთქვამს შეშფოთებას.**

**3 ნოემბერს უკრაინის თავდაცვის სამინისტრო ქვეყნის საზღვართან 90 000 რუსი სამხედროს კონცენტრირების შესახებ იუწყებოდა, გუშინ კი პრეზიდენტმა ზელენსკიმ უკვე 100 000-მდე რუსი ჯარისკაცის მობილიზების შესახებ გააკეთა განცხადება.**

## რუსეთიდან ნატოს რიგ ქვეყნებში საიდუმლო ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა

**2021 წელს რუსეთიდან ნატოს ქვეყნებში საიდუმლო კატეგორიების საქონლის (თვითმფრინავები, ბირთვული მასალები, იარაღი და საბრძოლო მასალა) ექსპორტი ნახტომისებურად გაიზარდა, — იუწყება პბკ ფედერალური საბაჟო სამსახურის ღია წვდომაში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით. იმპორტიორთა ტოპ-ათეულში შედიან აშშ, ჩეხეთი, გერმანია, ბრიტანეთი, ესტონეთი და ნიდერლანდები.**

2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საიდუმლო რუსული საქონლის ექსპორტი აშშ-ში 706-დან 841 მლნ დოლარამდე გაიზარდა, ჩეხეთში - 102-დან 706 მლნ დოლარამდე, გერმანიაში — 173-დან 300 მლნ-მდე, ნიდერლანდებში — 53-დან 222 მილიონ დოლარამდე.

**გასულ წელს რუსეთიდან საიდუმლო კატეგორიების საქონლის ექსპორტის კუთხით პირველ ათეულში ნატოს ქვეყნებიდან მხოლოდ აშშ (მესამე ადგილი), ესტონეთი და თურქეთი (მე-9-მე-10 ადგილი) შედიოდნენ. წელს აშშ-მა მეორე პოზიციაზე აინაცვლა, ჩეხეთმა — მესამეზე. არადა, ორივე ეს ქვეყანა მიმდინარე წლის მაისში რუსეთმა „არამეგობრულად“ გამოაცხადა.**

**მიმდინარე წლის იანვარ-ივნისის პერიოდში რუსეთიდან საიდუმლო კატეგორიების საქონლის ექსპორტი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 61%-ით იყო გაზრდილი და 27 მლნ დოლარს შეადგენდა. ფედერალური საბაჟო სამსახურის მონაცემებით, თანხის უდიდესი ნაწილი — 20 მლრდ (74%) მოდის ბუნებრივ აირზე, დანარჩენი — საბრძოლო მასალასა და საავიაციო ტექნიკაზე.**

# ლექსი გაეროს ტრიბუნიდან


ბორის პასტერნაკი

**თვითონ ლოთი ხრუშჩოვის კარნახით მას ლოთი უწოდეს...**



**ნობელის პრემიაზე უარი ათქმევინეს, კინაღამ სამშობლოდან გააძევეს და სიცოცხლეც მოუსწრაფეს – თურმე წელიწადნახევარიღა დარჩენოდა სიკვდილამდე.**

მადლობა ღმერთს, რომ უწყალოდ შერისხული **ბორის პასტერნაკი** ეულად არ მიუტოვებიათ გათათხვის გრიგალში. ქომაგთა ხმები ისმოდა როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე საზღვარგარეთ. მათი სიმცირე სულაც არ მეტყველებდა კეთილშობილი ძალების სისუსტეს.

დიდებული რუსი მწერალი, გულაგგამოვლილი და სიცოცხლეში დაუფასებელი **ვარლამ შალამოვი** უშურველ ქებას ასხამდა სტალინის მიერ „ზეციერად“ წოდებულ თანამოკალმეს:

**„აბა სცადეთ და დაწერეთ თუნდაც ერთი სტრიქონი, თქვენს სინდისს რომ ღალატობდეს. თქვენ ამას ვერ შეძლებთ. და საუკეთესო, რაც იყო რუსულ ინტელიგენციაში, ყველაზე ღრმად რომ ესმოდა ჭეშმარიტება და ავადმყოფურად უფრთხოდა ყოველგვარ სიყალბეს, სიცრუეს, სულის გამრუდებას — ყოველივე ეს განხორციელდა თქვენს არსებაში, თქვენს შემოქმედებაში... ვიცი, რომ მოგეპოვებათ საკმარისი სულიერი სიმტკიცე, სინათლე და ძალა საიმისოდ, რათა იაროთ თქვენი გზით იმ არნახულ სიმაღლეზე, ზღაპრული რომ გეგონება ჩვენი გახრწნილი ჟამისათვის, და არავითარი ცდუნება თუ მორიგი სატყუარა ვერ მოგხიბლავთ. ჯერ არასოდეს მომიწერია ის, რაც ყოველთვის მწამდა: რომ სწორედ თქვენა ხართ სინდისი ჩვენი ეპოქისა — ის, რაც თავის დროზე იყო ლევ ტოლსტოი. თქვენა ხართ ღირსება ჟამისა, თქვენა ხართ მისი სიამაყე. მომავლის წინაშე ჩვენი ჟამი თავს გაიმართლებს იმით, რომ თქვენ მისი ბინადარი იყავით... მადლობას მოგახსენებთ იმ ბედნიერებისა და მღელვარებისათვის, რაც მომანიჭა თქვენმა რომანმა („ექიმი ჟივაგო“)... კიდევ ორი ასეთი რომანი თუ დაიბადა, რუსული ლიტერატურა შეიძლება ჩაითვალოს გადარჩენილად“.**

სახელოვანმა ამერიკელმა მწერალმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა **ერნესტ ჰემინგუეიმ**, რომელიც უცხოელ მწერალთაგან ყველაზე პოპულარული იყო იმდროინდელ საბჭოთა კავშირში და, სხვათა შორის, არასოდეს ჩაბმულა ე.წ. „ანტისაბჭოთა კამპანიებში“, საჯაროდ განაცხადა:

**„მე ვაჩუქებ სახლს და ყველაფერს მოვიმოქმედებ, რათა გავუადვილო დასავლურ ცხოვრებასთან შეჩვევა. მინდა შევუქმნა იმგვარი ატმოსფერო, რომელიც აუცილებელია მისი შემოქმედებითი მუშაობის გასაგრძელებლად. ვიცი, რაოდენ ღრმადაა ფესვგადგმული მის გულში რუსეთი. ისეთი გენიოსისათვის, როგორიც არის პასტერნაკი, სამშობლოს მიტოვება ტრაგიკული მოვლენაა. მაგრამ თუკი ის მაინც ჩამოვა ჩვენთან, იმედი არ უნდა გავუცრუოთ, ყველაფერს, ვიღონებ რაც ჩემს მოკრძალებულ ძალებს ხელეწიფება, რათა მსოფლიოს შევუნარჩუნო მისი შემოქმედებითი სული“.**

**ჰემინგუეი** და **პასტერნაკი** პირადად არცკი იცნობდნენ ერთიმეორეს, მაგრამ გულს გული ცნობდა და ღონეს – ღონე.

ირაკლი აბაშიძისა არ იყოს, ხმების მარტოოდენ დათვლა როდია საკმარისი, ხმები კიდეც უნდა აიწონოს. დიახ, სხვები რომ აღარ ვახსენოთ, თუნდაც შალამოვისა და ჰემინგუეის ორად ორი ხმა, უთუოდ, გადაწონიდა ავყია ავტორთა ხმაშეწყობილ ქოროს.


ვარლამ შალამოვი

...გამოხდა ხანი. ნელ-ნელა იცვლებოდა ამინდი. მწიფდებოდა თითქოსდა სამარადისოდ დადგენილ ფასეულობათა არნახული და გაუგონარი გადაფასება, ეჭვმიუტანელ და დაკანონებულ ჭეშმარიტებათა გამოცხადება მტკნარ სიცრუედ.

1987 წლის 19 თებერვალს საბჭოთა მწერალთა კავშირის სამდივნომ კავშირის წევრად აღადგინა განსვენებული ბორის პასტერნაკი.

1988 წელს ჟურნალ „ნოვი მირის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა „ექიმი ჟივაგო“, რომელსაც ოცდაათი წლით ადრე გაეცნო მთელი მსოფლიო.

1988 წლის 27 სექტემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 43-ე სესიის პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური, საგარეო საქმეთა მინისტრი **ედუარდ შევარდნაძე**. თავის სიტყვაში მან ჩამოაყალიბა ის პრინციპები, რომლითაც ამიერიდან ხელმძღვანელობდა საბჭოთა საგარეო პოლიტიკა, აღნიშნა საერთაშორისო ვითარებაში მომხდარი სასიკეთო ძვრები.

შევარდნაძე ამბობდა: როდესაც აშშ თავდაცვის მინისტრი მიუჯდება ზესაიდუმლო საბჭოთა ბომბდამშენის საჭეს, ხოლო სსრკ შეიარაღებულ ძალთა გენერალური შტაბის უფროსი ათვალიერებს ასევე უსაიდუმლოეს ამერიკულ ბაზას, ეს ახალი აზროვნების მჭევრმეტყველი ნიშანი არისო.

საბჭოთა მინისტრი მოუწოდებდა დასავლეთს, რომ წარსულისათვის ჩაებარებინათ ერთმანეთის ხინჯთა კვლევა-ძიება, ურთიერთძრახვა და საყვედურები, რომ ერთობლივი ძალისხმევით დაეწერათ ახალი კათეხიზისი კაცობრიობის ცხოვრებისა, რომელსაც სათავეში ჩაუდგებოდა გონიერება და მოჰყვებოდა საქმე.

შევარდნაძემ თავისი სიტყვის დასასრულ წარმოთქვა:

**„წარსული ძალუმად მოქმედებს ჩვენზე. მაგრამ უფრო ძლიერი მიზიდულობა მოეპოვება მომავალს. პოეტური მეტაფორა „Привлечь к себе любовь пространства, услышать будущего зов“ („მიიპყრო სივრცის სიყვარული, მოგესმას ძახილი მომავლისა“) — მაღალ პოლიტიკურ აზრს იძენს. ნუ წავუყრუებთ ამ ძახილს. დაე, შევეხმიანოთ მას რეალური გაერთიანებით — დედამიწაზე სიცოცხლის გადასარჩენად. დაე, ახლავე შევუდგეთ საქმეს“.**

ედუარდ შევარდნაძის მიერ დამოწმებული პოეტური მეტაფორა გახლავთ ორი სტრიქონი ბორის პასტერნაკის საკმაოდ პოპულარული, უსათაურო ლექსიდან, სადაც მთელი სტროფი ამგვარად გამოიყურება:

Но надо жить без самозванства,  
Так жить, чтобы в канце канцов:  
Привлечь к себе  
любовь пространства,  
Услышать будущего зов.

სხვათა შორის, დასახელებული ლექსის ავტოგრაფი ინახება ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში და დათარიღებულია 1956 წლის 5 მაისით. იგი პასტერნაკის ცხოვრებისა და მსოფლმხედველობის ერთგვარი კრედოა, სადაც პოეტი აცხადებს: **„ულაზათოა სახელგანთქმულად ყოფნა, ეს ვერ აგამაღლებს, არაა საჭირო დაახვავო არქივები, დაჰკანკალებდე ხელნაწერებს. შემოქმედების მიზანი თავდადებაა და არა — წარმატება თუ ხმაური; რომ სამარცხვინოა, ყველას პირზე ეკეროს შენი სახელი თუკი არაფერს წარმოადგენ. უნდა იცხოვრო თვითმარქვიობის გარეშე. ისე უნდა იცხოვრო, რომ ბოლოს და ბოლოს მიიპყრო სივრცის სიყვარული და მოგესმას ძახილი მომავლისა... სხვები შენს ნაკვალევზე, სანამ არ გაცივებულა, შენსავე გზას მტკაველ-მტკაველ გაივლიან, მაგრამ თავად შენ გამარჯვებასა და მარცხს ერთმანეთისგან ნუ გაარჩევ. არასოდეს უღალატო საკუთარ მეობას, მუდამ ცოცხალი, მხოლოდ ცოცხალი უნდა იყო სიცოცხლის დასასრულამდე...“**


ერნესტ ჰემინგუეი

ხაზგასასმელია, რომ შევარდნაძე, როგორც ჩანს, სულაც არ აპირებდა თავმოწონებას აუდიტორიის წინაშე, თუმცა საბჭოთა მინისტრის მიერ პასტერნაკის ხსენება თავისებური პაროლი იქნებოდა უცხოელთათვის და ახალი, მიმზიდველი შტრიხით გაამდიდრებდა დასავლურ სამყაროში უკვე ფრიად პოპულარული კაცის მკაფიო იმიჯს.

მაგრამ შევარდნაძეს არ დაუსახელებია პოეტური მეტაფორის ავტორი, რომლის ვინაობის ამოცნობა, ალბათ, გაუჭირდებოდათ იმ ორიოდე სტრიქონის მიხედვით, სპონტანური მოთხოვნილების შედეგად რომ გაჩნდა მინისტრის ვრცელსა და შინაარსიან სიტყვაში და, რაც მთავარია, ჩინებულად მოერგო კონტექსტს (არ არის გამორიცხული, რომ თავად პოეტის მეტაფორამ მისცა ბიძგი პოლიტიკოსის მოწოდებას).

გამგებმა გაიგოს და დააფასოსო – შესაძლოა, ასეც ფიქრობდა.

ნეტავი თუ გაუგეს და დააფასეს?

ძნელი სათქმელია, როგორი რეზონანსი ჰქონდა აღნიშნულ ფაქტს, ანკი ჰქონდა თუ არა საერთოდ რაიმე რეზონანსი. მაგრამ, საცა სამართალია, მეორე დღეს გაზეთები უნდა აჭრელებულიყო ამგვარი სათაურებით: **შევარდნაძე მშვენივრად იცნობს რუსულ პოეზიას... გრომიკოს მემკვიდრე ლენინის მაგივრად იმოწმებს პასტერნაკს... საბჭოთა მინისტრს ჰყვარებია ანტისაბჭოთა რომანის ავტორი...**

თავი რომ აეტკივებინათ, ცხადია, უკეთესსაც მოიფიქრებდნენ.

ერთი სიტყვით, საგარეო საქმეთა მინისტრის წყალობით, გაეროს ტრიბუნიდან გაისმა ოცდაათი წლის წინათ საბჭოთა კავშირში „იუდად“ მონათლული პოეტის სტრიქონები. დევნილი და ტანჯული პასტერნაკის ლექსი დაიმოწმა შვილმა ასევე ტანჯული ქვეყნისა, რომელსაც უკვდავი რუსი პოეტი თავის „მეორე სამშობლოდ“ თვლიდა.

რას წარმოიდგენდა ხრუშჩოვი, რომ გაეროს დარბაზში, სადაც იგი გახდილი ფეხსაცმლის მაგიდაზე ბრახუნით ბოიკოტს უცხადებდა დასავლეთის რომელიღაც დიპლომატის გამოსვლას, საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვაში ახალი პოლიტიკური კურსის დასტურად და აკომპანემენტად აჟღერდებოდა სტრიქონები იმ პასტერნაკისა, ვისაც ხრუშჩოვის კარნახით ლორი უწოდეს.


ედუარდ შევარდნაძე

რას წარმოიდგენდნენ ის ორატორები, რომლებმაც ნობელის პრემიით დაჯილდოებული პოეტი შეამკეს „სამშობლოს მოღალატის“ ტიტულით, რომ ოცდაათი წლის შემდეგ მისი ლექსი გაიელვებდა გაეროს ტრიბუნაზე და მოემსახურებოდა მათივე სამშობლოს რეაბილიტაციას მთელი მსოფლიოს თვალში.

რას წარმოიდგენდა თავად პასტერნაკი, რომ პაწია ფრაგმენტი მისი პოეტური კრედოდან მაღალ პოლიტიკურ აზრს შეიძენდა საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვაში და გადაიქცეოდა მგზნებარე მოწოდებად როგორც მისი მშობელი ქვეყნის, ასევე მთელი პლანეტის მისამართით.

**მოამზადა**  
**ლაშა გიორგაძემ**

## ფრიდა კალოს ავტოპორტრეტი - რეკორდულ ფასად



**ნიუ-იორკში Sotheby's-ის აუქციონზე სახელგანთქმული მექსიკელი მხატვრის ფრიდა კალოს ავტოპორტრეტი „დიეგო და მე“ 34,9 მლნ დოლარად გაიყიდა. ეს რეკორდული თანხაა ლათინოამერიკელი მხატვრების ნამუშევრებისთვის.**

**ნახატზე მხატვარი ალბეჭდილია ცრემლებით სავსე თვალებით, მას შუბლზე გამოსახული აქვს ქმრის - დიეგო რივერას პორტრეტი, რომელსაც თავის მხრივ შუბლზე მესამე თვალი აქვს. ნახატი ნიუ იორკელი კოლექციონერის მემკვიდრემ გაყიდა, კოლექციონერმა ნახატი 1990 წელს Sotheby's-ის აუქციონზე 14 მლნ დოლარად შეიძინა. მანამდე ნახატი ეკუთვნოდა ჩიკაგოელ მწერალს ფლორენს არკინს, რომელიც მხატვრების წყვილთან მეგობრობდა. აუქციონზე გამოფენილი კალოს ავტოპორტრეტის ღირებულების ქვედა ზღვარი 30 მლნ დოლარს შეადგენდა. საბოლოოდ ის ბუენოს-აირესში მდებარე ლათინოამერიკული ხელოვნების მუზეუმის Malba-ს დამფუძნებელმა ედუარდო კონსტანტინიმ შეიძინა.**

მოვლენის შემდეგ

# ბერნარდ ლაპორტი: რაგბი მხოლოდ 10 ქვეყნის თამაში არაა და საქართველო ამის დასტურია

**მსოფლიო რაგბის ვიცე-პრეზიდენტმა ბერნარდ ლაპორტმა, რომელიც ამავდროულად საფრანგეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტიცაა და წლების განმავლობაში საფრანგეთის სპორტის მინისტრის პოსტს იკავებდა, „ბორჯღალოსნებს“ კარგი თამაშისთვის, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტ იოსებ ტყემალაძეს კი ამბიციური გეგმებისთვის მადლობა გადაუხადა.**

ბორდოში, „ლე ბლესა“ და „ბორჯღალოსანთა“ ტესტ-მატჩის თამაშის დასრულების შემდეგ გამართულ მიღებაზე ლაპორტმა განაცხადა:

**„დიდი მადლობა ქართველებს ასეთი ბრძოლისა და ღირსეული წინააღმდეგობისთვის. მათი თამაში ერთი სიტყვით ფასდება — ბრავო!!! ასევე მადლობა პრეზიდენტ იოსებ ტყემალაძეს ამბიციური გეგმების წარმოდგენისთვის — რაგბის მასობრიობის გაზრდით და ბავშვთა რაგბის განვითარებიდან დაწყებული, სანაკრებო დონით დასრულებული. მე ვამბობ, რომ რაგბი მხოლოდ 10 ქვეყნის თამაში არ არის და საქართველო ამის დასტურია“.**



იოსებ ტყემალაძემ იმედი გამოთქვა, რომ ქართულ-ფრანგული ურთიერთობები კიდევ უფრო განმტკიცდება და ლაპორტი საქართველოში მოიწვია:

**„მადლობა საფრანგეთს მასპინძლობისა და ამ შესანიშნავი შესაძლებლობისთვის. ჩვენ სწორედ ასეთი შეხვედრები გვჭირდება სწრაფი განვითარებისთვის. ასევე დიდი მადლობა ბატონ ლაპორტს თბილი და საქმიანი მიღებისთვის. ჩვენ წინ ვიყურებით და დარწმუნებული ვარ, რომ დღეიდან მრავალწლიანი ურთიერთობები კიდევ უფრო განმტკიცდება. სწორედ ამიტომ, მსურს ბატონი ლაპორტი საქართველოში მოვიწვიო. გელოდებით საქართველოში!!!“.**

პასუხმაც არ დააყოვნა — **„საქართველოში მიპატიჟება მიღებულია და უმოკლეს ვადებში აუცილებლად გეწვევით“** — თქვა ლაპორტმა.

შეგახსენებთ, რომ ხვალ მადრიდში ფიჯის შევერკინებით.

აღსანიშნავია, რომ ბორდოში გამართულ ტესტ-მატჩს საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი** დაესწრო.

მან ოქროს საწმისის ორდენით დააჯილდოვა 1997-2003 წლებში „ბორჯღალოსანთა“ ფრანგი თავკაცი **კლოდ სორელი,** ხოლო ღირსების მედალი გადასცა ემიგრანტთა ღირსეული დინასტიის წარმომადგენელ ძმებს — **გრეგუარ** და **დიმიტრი იაშვილებს**.

ყოჩაღ, ბიჭებო!

# სპექტაკლი ფეხბურთის სამშობლოსთან

**როგორც მოგეხსენებათ, 2023 წელს საქართველო რუმინეთთან ერთად 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს, რის გამოც საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრებისგან თავისუფალია, ეს კი სათამაშო პრაქტიკის დეფიციტს განაპირობებს.**

შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს ამხანაგური მატჩები წარმოადგენს, რადგან ზოგი მათგანი არაფრით ჩამოუვარდება ოფიციალურს. სწორედ ასეთად უნდა მივიჩნიოთ **რამაზ სვანაძის** გაწვრთნილი ჩვენი ქვეყნის 21-წლამდელთა ნაკრების მიერ ბათუმში მოპოვებული ისტორიული გამარჯვება ინგლისელ თანატოლებთან — 3:2, რომელთა ძირითადი ბირთვიც პრემიერლიგაში თამაშობს.



მასპინძელთაგან „საბურთალოს“ აღზრდილებმა **გულიაშვილმა** (დუბლი) და **გოჩოლეიშვილმა** გვასახელეს, რომელმაც მარადონასეული დრიბლინგით დააშამათა მრისხანე მეტოქის დაცვის ხაზი, ხოლო სულ ახალგაზრდა „ჯვაროსნებმა“ უკვე 5 ბრძოლა დაასრულეს დაუმარცხებლად (4 მოგება და 1 ფრე). ამასობაში დამთავრდა მუნდიალ — 2022-ის (ყატარი) ევროპული ზონის შესარჩევი რაუნდი, რომელმაც გამოავლინა მომავალი ფორუმის ფინალური ტურნირისა და პლეი-ოფის მონაწილენი.

**ფინალისტები:** ესპანეთი, სერბეთი, შვეიცარია, ინგლისი, დანია, ბელგია, საფრანგეთი, ხორვატეთი, გერმანია, ნიდერლანდები.

**პლეი-ოფში ითამაშებენ:** პორტუგალია, შვედეთი, იტალია, უკრაინა, უელსი, შოტლანდია, რუსეთი, თურქეთი, პოლონეთი, ჩრდილოეთ მაკედონია, აგრეთვე **ერთა ლიგიდან** — ავსტრია და ჩეხეთი.

ბრძენთა თამაში

# შანსებს ვინარჩუნებთ

**სლოვენიის ქალაქ ჩატეჟში მიმდინარე ქალ-ვაჟ მოჭადრაკეთა ევროპის 23-ე გუნდურ ჩემპიონატზე ერთდღიანი დასვენების გამოცხადებამდე მისმა მონაწილეებმა კიდევ სამ-სამი შეხვედრა გამართეს.**

## ქალები

**მესამე ტური.** საქართველო — აზერბაიჯანი 3:1.

**მეოთხე ტური.** საქართველო — რუსეთი 1:3.

**მეხუთე ტური.** საქართველო — სომხეთი 2,5:1,5. „ჯვაროსნებს“ გამარჯვება **ნანა ძაგნიძემ** (პირველი დაფა) და **სალომე მელიამ** (მესამე დაფა) მოუტანეს, რომლებმაც თავიანთი პარტიები, შესაბამისად, კონტინენტის მოქმედ გვირგვინოსანს ელინა დანიელიანსა და ანა სარგსიანს მოუგეს (ორივემ — შავი ფიგურებით).

**ლიდერთა ჯგუფი ხუთი ტურის შემდეგ:** რუსეთი — 10, საქართველო, საბერძნეთი — 8-8, პოლონეთი, აზერბაიჯანი, იტალია, უკრაინა — 7-7 ქულა.

## ვაჟები

**მესამე ტური.** საქართველო — შვეიცარია 3:1.

**მეოთხე ტური.** საქართველო — სლოვაკეთი 2,5:1:5.

**მეხუთე ტური.** საქართველო — უკრაინა 1,5:2:5. საბედისწერო პარტია მეორე დაფაზე თეთრებით მოთამაშე **თორნიკე სანიკიძემ** წააგო.

**ლიდერთა ჯგუფი:** რუსეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, უნგრეთი, სომხეთი, ნიდერლანდები — 8-8, ესპანეთი, რუმინეთი — 7-7 ქულა. ჩვენს ნაკრებსა და კიდევ რვა გუნდს 6-6 ქულა აქვთ.

ევროლიგა

# სიზიფეს შრომა

**თორნიკე შენგელიასა და ნიკოლა მიროტიჩს ერთმანეთთან ძველი ანგარიშები ჯერ კიდევ იმ დროიდან აქვთ, როცა ქართველი ლეგიონერი ესპანურ ლიგა ენდესაში „ბასკონიას“ მაისურით თამაშობდა.**




ამჯერად ჩვენი ნაკრების კაპიტანი კატალონიის დედაქალაქს ცსკა-ს ლიდერის რანგში ეწვია და მშვენიერი პირადი სტატისტიკური მაჩვენებლებითაც დაასრულა შეხვედრა — 31 წუთში 17 ქულა, 6 მოხსნა და 3 პასი, თუმცა მისი გუნდი მაინც დამარცხდა — 73:81.

ბოლო პერიოდის წინ არმიელებს ცხრაქულიანი უპირატესობა ჰქონდათ — 60:51, მაგრამ გადამწყვეტ მეოთხედში „ბარსელონამ“ სწორედ ნატურალიზებული ბალკანელის ძალისხმევით აიწყვიტა — 30:13(!) და ბრძოლაც მოიგო.

**ლიდერთა ჯგუფი 10 ტურის შემდეგ:** „მილანი“, „რეალი“, „ბარსელონა“ — 8-8 გამარჯვება. რუსულ გრანდს თანაბარი ბალანსი აქვს — 5 მოგება და 5 წაგება.

პეკინი-2022

# ხელოვნური თოვლისთვის

**სინოპტიკოსთა შეფასებით, 2021 წლის იანვარ-მარტში იანცინში, ჩინეთის ეროვნული სამთო-სათხილამურო ცენტრის რაიონში, ორი სანტიმეტრი ნალექი მოვიდა, რაც იქ ტურნირების ჩატარების საშუალებას არ იძლევა. აქედან გამომდინარე, პეკინის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებს XXIV ფორუმისთვის დაახლოებით 200 მილიონი ლიტრი წყლის ხელოვნურ თოვლად გარდაქმნა მოუწევთ.**

სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორის კარმენ დე იონგის განცხადებით, აღნიშნულ სამთო მასივში თოვლი პრაქტიკულად არ არის. ამის გამო პეკინი-2022-ის საორგანიზაციო კომიტეტმა დამრეცებზე დაახლოებით 200 ხელოვნური თოვლის გასაფრქვევი დანადგარი დააყენა, რომლებსაც საკმაოდ სწრაფად შეუძლიათ სათხილამურო ტრასების ხელოვნური საფარით უზრუნველყოფა.

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ხელოვნური თოვლის გამოყენება მიღებული პრაქტიკაა. იგი გამოიყენეს პიონჩანგის 2018 წლის, ასევე სოჭი-2014-ის და ვანკუვერი-2010 წლის თამაშებზე. ზამთრის XXIV ოლიმპიადა სტარტს 2022 წლის 4 თებერვალს აიღებს და 20 თებერვლამდე გასტანს, უშუალოდ სამთო მოთხილამურეთა ასპარეზობები კი 6-19 თებერვალს უნდა ჩატარდეს.




ფორმულა 1




# 0.2 მილიმეტრის ფასი

**ბრაზილიის დიდი პრიზი რბოლების მოყვარულთათვის დაუვიწყარ სანახაობად იქცა., მაგრამ რომ არა „მერსედესის“ კარგად გათვლილი სტრატეგია და ლუის ჰამილტონის უბადლო შესრულება, ის შეიძლება მოსაწყენიც ყოფილიყო და დარჩენილი სამი რბოლის მიმართ ინტერესიც დაესამარებინა.**

ამის მიზეზი კი ჰამილტონის დაჯარიმება იქნებოდა, რის შემდეგაც მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს სპრინტის ბოლო, მთავარი რბოლის კი მეათე პოზიციიდან დაწყებამ მოუწია და მას მცირე შანსი ჰქონდა იმისა, რომ თუნდაც კვარცხლბეკზე ასვლას შეძლებდა.

რაც შეეხება ჯარიმას, სტიუარდებმა ის მხოლოდ იმის გამო გამოუწერეს, რომ ჰამილტონის მანქანის უკანა ფრთის DRS სისტემა დასაშვებზე (85 მილიმეტრი) 0.2 მილიმეტრით მეტად იღებოდა. „მერსედესმა“ ეს დაზიანებას მიაწერა, მაგრამ სტიუარდებმა არ დაუჯერეს და მკაცრი გადაწყვეტილება მიიღეს.

„მერსედესის“ შეფმა **ტოტო ვოლფმა** დასვა კითხვა, რატომ მივიდა საქმე სტიუარდებამდე, როცა სხვა გუნდებს დახურულ პარკში დაზიანებული კომპონენტების რემონტის უფლება მიეცათ. ვოლფი თვლის, რომ საქმე სტიუარდებამდეც არ უნდა მისულიყო და გუნდს დაზიანების გარემონტების საშუალება ისევე უნდა მისცემოდა, როგორც სხვებს, მაგრამ საქმე სტიუარდებს გადაეცა, რომლებიც გამოუვალ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. **„ყველაფრის მიუხედავად, ბოლო მომენტამდე გვეგონა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. ჩვენ ვფიქრობდით, ყველაფრის გათვალისწინებით, FIA იტყოდა, რომ ეს დაზიანების ბრალია და რეგლამენტის დარღვევას ადგილი არ აქვს. ისინი ამბობდნენ კიდეც, რომ განზრახულად არაფერი მომხდარა. მაგრამ შემდეგ გავიგეთ დისკვალიფიკაციის შესახებ. არ მჯეროდა. მეგონა, რომ სპორტული დირექტორი რონ მედოუსი მეხუმრებოდა“,** — ყვება ვოლფი.

ის დასძენს, რომ ინჟინრებს ფრთის დაზიანების შესაძლო მიზეზი ჯერ არ გამოუკვლევიათ, თუმცა ვიზუალური დათვალიერების შემდეგ, წინასწარი ვარაუდით, დაზიანება კვალიფიკაციაზე უნდა მომხდარიყო. ფრთა ჯერაც FIA-ს განკარგულებაშია და ის „მერსედესს“ ერთი კვირის შემდეგ გადაეცემა.

# მიხეილ დუნდუა: „გლობალური კეთილდღეობის ინდექსი“ მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანა წლიდან წლამდე აჩვენებს შესაძლებლობების მაქსიმუმს!

**გლობალური კეთილდღეობის ინდექსში“ საქართველოს პოზიცია გაუმჯობესდა ორი ადგილით და შეფასება ისტორიულ მაქსიმუმზეა, 100-პროცენტიანი შკალით – 62,3%, რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია. საქართველო ლიდერია სამეზობლოში,** – განაცხადა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ მიხეილ დუნდუამ ბრიტანეთის წამყვანი ანალიტიკური ცენტრის, Legatum Institute-ის მიერ 2021 წლის „კეთილდღეობის ინდექსში“ საქართველოს მიერ მიღწეული პოზიციის შეფასებისას. მისი თქმით, საქართველო უსწრებს ყველა მეზობელ ქვეყანას.



**„პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველოზე წინ მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნები არიან. ამ ანგარიშში ჩვენი ქვეყანა წინ უსწრებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა თურქეთი, ჩრდილოეთ მაკედონია და ალბანეთი. გარდა ამისა, აღნიშნული ანგარიშის მიხედვით საქართველო ისეთი მიმართულებით, როგორიცაა: ინფრასტრუქტურა და ბაზარზე წვდომა, 10-წლიანი განვითარების კუთხით მსოფლიოს საუკეთესო ათეულში შევიდა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ინფრასტრუქტურული პროექტების მნიშვნელობაზე. ეს ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ამ მიმართულებით სწორად მიდის და მომავალშიც ინფრასტრუქტურული განვითარება იქნება პრიორიტეტული ჩვენი ქვეყნისათვის“...**

# ალმანახი მთელი საქართველოსთვის

**დაისტამბა ალმანახ „ამერიმერი“-ს გაერთიანებული 1-2 ნომერი, რომელიც ტრადიციულად, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ეპისტოლეთი იხსნება.**

**პოეტის მარადისობა** - ამ რუბრიკით დაბეჭდილია მუხრან მაჭავარიანისა და შოთა ნიშნიანიძის ლექსები.

**პოეზიის განყოფილება** აგრეთვე წარმოდგენილია შემდეგი პოეტებით: ფარნა რაინა, ერეკლე საღლიანი, ნომადი ბართაია, თეიმურაზ ლანჩავა, მანანა ჩიტიშვილი, კობა არაბული, რომან ზუკაკიშვილი, ნუნუ ძამუკაშვილი, ფიქრია ყუშიტაშვილი, ცირა შალაშვილი, ზაზა ქინქლაძე, ირინა პეტრიაშვილი, ამირან გეწაძე, ლია გიგიტაშვილი (თამარელი), არტურ სულამანიძე, თინათინ თელაველი (მრელაშვილი), ნუგზარ წერეთელი, ბადრი სულაძე, ირმა ჭაბაშვილი, ქეთევან ათუაშვილი, ანა მანოშვილი, კახაბერ პავლიაშვილი, შოთა ტოგონიძე, სოსო ბერიძე, ქეთი გუგეშაშვილი, ალექსი გოგბერაშვილი, ნელი ზუროშვილი, გიული ჩიხიაშვილი, ზაირა ფრუიძე, ზურაბ მამულაშვილი.

გალაკტიონ ტაბიძის 130-ე წლისთავის აღსანიშნავად „ამერიმერი“ ბეჭდავს პოეტ აკაკი ბიძინაშვილის ვრცელ პოემას – „ტკივილი“ – მეფე-პოეტისა და მისი მეუღლის, ოლღას ტრაგიკული ცხოვრების შესახებ.

ჯემალ დავლიანიძის პოეტურ-პროზაული ნაწარმოები – „პოლიტიკური ცოფი და ფარული შიზოფრენია, წიგნიდან (გარდასულ განწყობათა სასაფლაო), იბეჭდება ახალი რუბრიკით – **„რაც პროზამ ვერ დაიტია“...**

**პროზის განყოფილება** – წარმოდგენილია ჯემალ მეხრიშვილის, მანანა ამირეჯიბის, თეიმურაზ ფანჯიკიძის, ანა ერისთავის, გიორგი ბერძნიშვილის, გივი ჩიღვინაძის, ანზორ სიფრაშვილის, მარიამ ძამუკაშვილის, გიორგი შარვაშიძის, იზა მჭედლიშვილის, ზოდიკო ხომასურიძის, ზურაბ ქობალიას, მამუკა ვაშაკიძის, გიორგი თედეთის და ნუნუ ძამუკაშვილის ნაწარმოებებით.

**მწერლის ხურჯინში გადანახული ამბები** - ამ რუბრიკით დაბეჭდილია ვაჟა ჩორდელის ორი პოეტის გახსენება: „მურმანი და არჩილი“ და „ნამეტნავი ჭკვიანი გურული“.




**წერილების განყოფილება** მრავალფეროვანია. ავტორთა ჯგუფი – მწერლები: ჯემალ დავლიანიძე, ანა ერისთავი, ლელა მეტრეველი, ვაჟა ჩორდელი, „ამერიმერი“-ს თანარედაქტორი ოთარ კერვალიშვილი (რაჭის რეგიონის განვითარების ფონდის თავმჯდომარე), როინ მეტრეველი (საქ. მეცნიერებათა აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი), პაპუნა (პარმენ) მარგველიძე (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორი), რომან კერვალიშვილი (საქ. საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი) ღია წერილს უგზავნიან სრულიად საქართველოს ხელისუფლებას, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, პოეტ **მურმან ლებანიძის** მთაწმინდის პანთეონში გადასვენების საკითხთან დაკავშირებით.

ოთარ კერვალიშვილი აგრეთვე ფრიად საჭირო წერილს წერს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს, ბატონ **ირაკლი ქარსელაძეს.** აქვეა დაბეჭდილი ბატონი ოთარის კიდევ ორი სტატია რაჭის რეგიონის განვითარებასთან დაკავშირებით.

**„ამერიმერი“-ს წერილების განყოფილება** ამით არ მთავრდება, ნომერში იბეჭდებიან შემდეგი ავტორები: მურმან ბაღსოლიანი, გიორგი წერეთელი, მაყვალა მიქელაძე, გურამ გოგიაშვილი - (ფრიად საინტერესო წერილი რუბრიკით – „ქვათა ღაღადი გრძელდება“), ნანა რჩეულიშვილი, ომარ გოცაძე, ლევან ბრეგაძე, თემურ შავლაძე, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, როინ ჭიკაძე.

ალმანახის გარეკანის გვერდებზე დაბეჭდილია თბილისის 175-ე საჯარო სკოლის მოსწავლის, მომავალი მხატვრის, 9 წლის **დავით ბერიშვილის** ნამუშევრები.

„ამერიმერი“ საქვეყნო მადლობას უხდის სრულიად საქართველოს რაჭის რეგიონის განვითარების ფონდის თავმჯდომარეს, ბატონ **ოთარ კერვალიშვილს**, ალმანახის გამოცემაში გაწეული დახმარებისთვის.

„ამერიმერის“ დამფუძნებელი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორია **ვაჟა ჩორდელი.**

# ზუგდიდში 600 დევნილ ოჯახს ბინები გადაეცემა

**დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო ზუგდიდში, ახალაშენებულ კორპუსებში იძულებით გადაადგილებულ 600 ოჯახს ბინებს გადასცემს.** სააგენტოს დირექტორის ბესარიონ სიმონიშვილის განცხადებით, საცხოვრებელი ფართები ღიად და გამჭვირვალედ განაწილდა.

**„600 დევნილ ოჯახს ზუგდიდში ბინები გადაეცემა. კომისიამ საცხოვრებელი ფართების განაწილების საკითხზე მუშაობა უკვე დაასრულა და დევნილი ოჯახების სია, რომლებსაც ბინებს გადავცემთ სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა. მნიშვნელოვანია, რომ კომისიამ თითოეული ოჯახის საკითხი, გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად განიხილა. ზუგდიდში პირადად შევხვდები ყველა იმ დევნილს, რომელსაც ბინების განაწილების პროცესთან დაკავშირებით შეკითხვები აქვს“,** – განაცხადა სიმონიშვილმა.



ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VIII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.
მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

# ლევან ფრუიძე



88 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ისტორიკოს-ეთნოგრაფი, პროფესორი **ლევან ფრუიძე**. გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. 1968 წელს აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ გადაიყვანა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. აქვე დაიცვა სამეცნიერო ხარისხი. განვლო შრომითი გზა ლაბორანტიდან წამყვან-მეცნიერ მუშაკამდე. არის რამდენიმე მონოგრაფიისა და მრავალი პუბლიკაციის ავტორი, იყო 1992-1995 წლების მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრი.

ფასდაუდებელია ბატონი ლევანის ღვაწლი საგვარეულო მოძრაობაში. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში თანამოაზრეებთან ერთად ქმნის საგვარეულო კავშირებს, ეხმარება მათ მამაპაპური ცხოვრების წესისა და ეროვნული ტრადიციების აღდგენაში. 2003 წელს მისი თაოსნობით და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით იქმნება საქართველოს საგვარეულო კავშირი „გვარი და გვარიშვილობა“, ერთ-ერთი დამფუძნებელიც ბატონი ლევან ფრუიძეა. 2003-2009 და 2012-2018 წლებში ამ კავშირის გამგეობის თავმჯდომარეა. მისი თავდაუზოგავი ძალისხმევით და ავტორიტეტით შეიქმნა ხუთასზე მეტი საგვარეულო კავშირი და წარედგინა პატრიარქს დასალოცად.

2011 წელს ბატონი ლევანის ინიციატივით და პატრიარქის თანადგომითა და ლოცვა-კურთხევით ჩამოყალიბდა სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი, რომლის საბჭოს თავმჯდომარედ იგი აირჩიეს.

მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული საისტორიო საზოგადოებისთვის და ქართველი ხალხისთვის.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მშობლიური მიწა.

საქართველოს საგვარეულო კავშირის
„გვარი და გვარიშვილობის“ გამგეობა

**ვაჟა ნადირაშვილი, ავთანდილ არაბული, თენგიზ მაისურაძე, მერაბ ლეკვეიშვილი, მიხეილ ჯიბუტი, ნინო სულამანიძე, მზია წიკლაური, მამია ჭუმბურიძე, ოთარ კერვალიშვილი, ოთარ შონია, საველ მარსაგიშვილი**

გივი შუღაროვი და ნინიკო წერეთელი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება უახლოესი ადამიანის, საყვარელი ბიძის

## რამაზ საღარაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი პარასკევს XI, დაკრძალვა შაბათს, XI, 14:00 საათზე. მის: თბილისი, ფალიაშვილის ქ. 38

# ოთარ ქიშმარეიშვილი



85 წლის ასაკში გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება, ჩვენი საზოგადოების ღირსეული წევრი **ოთარ ქიშმარეიშვილი**. იგი გახლდათ საქართველოს ყოფილი ადგილმრეწვის მინისტრის მოადგილე. კომუნიკაბელური, მრავალი კეთილი საქმის ინიციატორი და პროფესიონალი პიროვნება, გამორჩეული იყო, როგორც საქმისადმი დამოკიდებულებაში, აგრეთვე თანამშრომელთა და მეგობართა შორის მეგობრობითა და სიყვარულით.

ჩვენ, მისი უმცროსი მეგობრები და კოლეგები, ყოველთვის სიყვარულით გავიხსენებთ მართლაც ქვეყნისათვის ერთგულ და მოამაგე პიროვნებას. ნათელში იყოს მისი ხსოვნა.

**კოლია გაჩეჩილაძე, თემურ ხუროძე, ბორის ლეკიშვილი, მალხაზ დოლიძე, დათო მახაროზლიშვილი.**




# ᲞᲝᲔᲢᲗᲐ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

**ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜ ᲢᲐᲑᲘᲫᲘᲡ 130 წლის იუბილეს აღსანიშნავად კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში პოეტის აქამდე უცნობი ხელნაწერები გამოიფინა — პოეტის პირადი წერილები, გამოუქვეყნებელი ლექსები: „ძველი კოშკი“, „მელოდია“, „წამების ჯვარი“ „წერილი დედას“, გიორგი ქუჩიშვილის უცნობი წერილი გალაკტიონისადმი, პოემა „ფერფლი“, რომლის მხოლოდ სახეცვლილი ვარიანტის ნაწილია გამოქვეყნებული, პოეტის ესკიზები და სხვა.**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ეწვია, გალაკტიონ ტაბიძის აქამდე უცნობი ხელნაწერების გამოფენა გახსნა და საზოგადოებას პოეტის 130 წლის იუბილე მიულოცა.

**„ვულოცავ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს, მის თითოეულ თანამშრომელს და მთელ საზოგადოებას, რომ გალაკტიონ ტაბიძის 130 წლის იუბილეს არაჩვეულებრივი გამოფენით შეხვდა. მიხარია, რომ ეს უნიკალური არქივი, რომელშიც წარმოდგენილია გამოუქვეყნებელი პოემა, ლექსები, პირადი წერილები, პოეტის საინტერესო ესკიზები, დაცული იქნება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. დარწმუნებული ვარ, მისი მეცნიერული თვალსაზრისით შესწავლის შემდეგ საინტერესო პუბლიკაციები გამოიცემა“,** — აღნიშნა მინისტრმა.

გალაკტიონ ტაბიძის არქივის ნაწილი ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა კერძო პირისგან შეისყიდა. თანხის ნაწილი მოხმარდება ქყვიშში გალაკტიონის სახელთან დაკავშირებული მემორიალური ადგილების განვითარებას. გამოუცემელი ხელნაწერები დიდ სიახლეს წარმოადგენს გალაკტიონის შემოქმედებით დაინტერესებული მკვლევრებისთვის. გალაკტიონის აქამდე უცნობი ხელნაწერების ხილვის შესაძლებლობა დამთვალიერებელს წლის ბოლომდე ხელნაწერთა ცენტრის საგამოფენო დარბაზში ექნება.

* * *

**ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜ ᲢᲐᲑᲘᲫᲘᲡ დაბადებიდან 130 წლის იუბილეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი ონლაინპროექტით ეხმიანება. არქივში დაცული მისი ავტოგრაფული ჩანაწერები, უბის წიგნაკები, პირადი ნივთები, ჩანახატები და ლექსები, პორტრეტები, ფოტოები, კინო და ფონოდოკუმენტები ეროვნული არქივის მულტიმედიურ გვერდზე განთავსდა.**

გალაკტიონის ავტოგრაფები და ფოტომასალის დიდი ნაწილი ვახტანგ გურგენიძის პირად ფონდში ინახება. უბის წიგნაკები დღემდე გამოუყენებელ და ნაკლებად ცნობილ ტექსტებს ინახავს, რაც საინტერესოა არა მხოლოდ გალაკტიონის მკვლევრებისთვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვისაც.

# „ᲐᲜᲑᲐᲜᲓᲘᲓᲘ“, „ᲒᲠᲐᲒᲜᲘᲚᲘ“ ᲓᲐ „ᲛᲔᲓᲔᲐ“...

## ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲠᲘᲤᲢᲘ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის, კომპანია „ჯეპრასა“ და კალიგრაფ დავით მაისურაძის თანამშრომლობით შრიფტების დასამზადებლად ეროვნულ არქივში დაცული ძეგლები შეირჩა.**

ასომთავრულს საფუძვლად დაედება IX საუკუნის გამორჩეული ხელნაწერი „ანბანდიდი სახარება“, ნუსხურს — XV საუკუნის კონდაკი „იოანე ოქროპირის ჟამისწირვა“, მხედრული შრიფტი კი XVII საუკუნის ძეგლის „იაზონისა და მედეას ამბავის“ მიხედვით შეიქმნება. შრიფტები ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის სრულიად უსასყიდლოდ იქნება ხელმისაწვდომი.

**„მოხარული ვართ, რომ ხელნაწერი შრიფტების გალერეას — „ჯეპრას“ სპეციალურ პროექტს, რომელსაც საფუძველი 2019 წელს ჩაეყარა, სამი გამორჩეული შრიფტი შეემატება და ამით კიდევ უფრო შევუწყობთ ხელს ქართული დამწერლობის განვითარებასა და ქართული კულტურის პოპულარიზებას. იუნესკოს წარმომადგენლობაც ხომ გადაწყვეტილების მიღებისას სწორედ იმ ფაქტმა მოხიბლა, რომ ქართული დამწერლობის სამივე სახეობა დღესაც ცოცხალია, დღესაც გამოიყენება სასულიერო სასწავლებლებსა თუ ღვთისმსახურებაში და სკოლიდანვე ისწავლება სამივე მათგანი“,** — განაცხადა ჯეპრას სპეციალური პროექტების მენეჯერმა რუსუდან უსტიაშვილმა.




საქართველოს ეროვნული არქივის სამეცნიერო განყოფილების უფროსის, ქეთევან ასათიანის განცხადებით, საქართველოს ეროვნული არქივი, სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად, ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურის“ ნომინაციის მომზადებაში აქტიურად იყო ჩართული.

**„ნომინაციის გამარჯვებიდან ხუთი წლის საიუბილეოდ ჩვენ სიამოვნებით მივიღეთ მონაწილეობა პროექტში, რომელიც ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურის თვალსაჩინო მაგალითია. ქართული ხელნაწერების იმ მდიდარი კოლექციიდან, რასაც ეროვნული არქივი ინახავს, შეირჩა სხვადასხვა ეპოქისა და შინაარსის გამორჩეული კალიგრაფიით შესრულებული ნიმუშები“,** — განაცხადა ქეთევან ასათიანმა.

ამასთან, როგორც კალიგრაფმა დავით მაისურაძემ აღნიშნა, ეს შრიფტები — „ანბანდიდი“, „გრაგნილი“ და „მედეა“ — ულამაზესი კალიგრაფიით შესრულებულ ძველ ხელნაწერებს ეფუძნება.

**„ანბანდიდი სახარების ასომთავრული შრიფტი IX საუკუნის სისადავეს ასახავს. ნუსხურ შრიფტში („გრაგნილი“) განვითარებული შუა საუკუნეების ხელოვნების დეკორატიულობა ჩანს. მხედრული შრიფტი („მედეა“) კი ჩემთვის განმანათლებლობის ეპოქასთან ასოცირდება. სამივე მარტივად კითხვადი და დახვეწილია, ამიტომ დარწმუნებული ვარ, ამ შრიფტებით შესრულებულ ნიმუშებს უახლოეს მომავალში ბევრგან ვიხილავთ,“** — განაცხადა დავით მაისურაძემ.

„ქართული ანბანის სამივე სახეობის ცოცხალი კულტურა“ იუნესკომ 2016 წლის 30 ნოემბერს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეიტანა. სწორედ ამ ფაქტის 5 წლის საიუბილეოდ საზოგადოება ახალ შრიფტებს — „ანბანდიდს“, „გრაგნილსა“ და „მედეას“ გაეცნობა.

**ანბანის სამი სახეობის შრიფტების წარდგენა ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში 30 ნოემბერს გაიმართება.**

# „ᲤᲮᲝᲕᲘᲡ ᲖᲐᲠᲔᲑᲘ“ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲒᲐᲚᲔᲠᲔᲐᲨᲘ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში ცნობილი მხატვრის ილია პატაშურის ნამუშევრების გამოფენა „ფხოვის ზარები“ გაიხსნა.**

ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო და მხატვარს გამოფენის გახსნა პირადად მიულოცა.

**„მოხარული ვარ, რომ მოგვეცა საშუალება ილია პატაშურის ნამუშევრების გამოფენა მოგვეწყო განახლებულ ეროვნულ გალერეაში, რადგან ეს სურვილი ცნობილ მხატვარს ჰქონდა მრავალი წლის განმავლობაში. მინდა მივულოცო მას დღევანდელი დღე და აღვნიშნო, რომ გამოფენა მართლაც ძალიან საინტერესო გამოვიდა, რაშიც ეროვნული გალერეის ახალი ხელმძღვანელობისა და მთელი გუნდის დიდი წვლილია. ილია პატაშური 1960-იანი წლების მხატვარია, რომლის ხელოვნება ფერისა და ფორმის განსაკუთრებული თანხვედრით გამოირჩევა. იგი თითქოს მუდმივად მითოლოგიზირებულ დროში ცხოვრობს. ასე იყო, როდესაც ბავშვობაში ნახშირით ქვის ლოდებსა და სახლის კედლებზე ხატავდა დევებს და ასეა ახლაც, მრავალი ათეული წლის შემდეგ, როდესაც აბსტრაქტულ ფერად კომპოზიციებს ასრულებს“,** — აღნიშნა წულუკიანმა.



გალერეაში ერთი თვის განმავლობაში წარმოდგენილი იქნება მხატვრის 120 ნამუშევარი (ფერწერა, გრაფიკა). გამოფენისთვის ასევე მომზადდა და გამოიცა ილია პატაშურის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი კატალოგი. **მხატვრის შემოქმედება ჟანრულად მრავალფეროვანია - ძირითადად ტრადიციული, ისტორიული და ყოფითი სცენები, პეიზაჟი, პორტრეტი, ნატურმორტი, შესრულებული ინტენსიურ ფერთა შეხამებით. განსაკუთრებით ცნობილი ფერწერული ტილოებია: „დიდგორი“, „ვედრება“, „ბროწეულები“, „კრწანისი“ და სხვა.**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ №48
ᲢᲔᲚ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲥᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲙᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
ე. ბაღდავაძის №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

**ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 22 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ**

**ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:**
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 3.1435; ᲔᲕᲠᲝ - 3.5562;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 4.2230;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.3184; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.3001;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.8482;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.6032.

**ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 19 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ: | | | | |
| ᲑᲐᲠᲘ - | ᲦᲐᲛᲔ | -3, | ᲓᲦᲔ | +17 |
| ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - | ᲦᲐᲛᲔ | -5, | ᲓᲦᲔ | +14 |
| ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ: | | | | |
| ᲑᲐᲠᲘ - | ᲦᲐᲛᲔ | +4, | ᲓᲦᲔ | +17 |
| ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - | ᲦᲐᲛᲔ | -2, | ᲓᲦᲔ | +15 |
| ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: | ᲦᲐᲛᲔ | 0, | ᲓᲦᲔ | +12 |

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge